645/
1988/2
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ქალი

12 1988
ISSN 0321-1509



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, პეტრე ოლენტი, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ნინო ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძე. დავით იაკობაშვილის ფოტო.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.




რამდენჯერ მინახავს ასეთი სურათი: თელავის თეატრის წინ გულშემატკივრები უცდიდნენ მაია ჩიბურდანიძისა და მისი მეტოქის ნანა იოსელიანის გამოჩენას. დიდოსტატები წინანდალში ცხოვრობდნენ და პატარა კახის ქალაქში მხოლოდ სათამაშოდ ჩამოდიოდნენ. საღამოს პარტიის შემდეგ გულშემატკივრები, ზოგი გახარებული, ზოგი კი პირიქით, ნაწყენი ისევ ხვდებოდნენ თავიანთ ფავორიტებს და აცილებდნენ მათ წინანდალში.

გულშემატკივარი ხომ უერთგულესი ადამიანია, იგი მთელი არსებით უჭერს მხარს „თავის მოჭადრაკეს" და მზად არის მთელი მისი ჭირვარამი გაიზიაროს. ამავე დროს გულშემატკივარი ოპტიმისტია: დღეს თუ ცუდ ხასიათზე დადგა, რა უყოთ მერე, ხვალ იგი აუცილებლად გაიმარჯვებს, მისი ცხოვრების აზრი სწორედ ამ გამარჯვებაშია.

ძალზე საყურადღებოა ერთი ამბავი — ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაია ჩიბურდანიძის გულშემატკივრები რამეში განბილებულიყვნენ. მსოფლიო ჩემპიონმა მხოლოდ წინსვლა და გამარჯვება იცის!

მაია, რომელიც 17 იანვარს 28 წლისა ხდება, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე 5 საფეხურით ავიდა მაღლა და არც ერთხელ უკან არ დაუხევია.

პირველი აღმავალი საფეხური (1978 წლის აგვისტო-სექტემბერი, ბიჭვინთა), ლეგენდად აღიარებული ნონა გაფრინდაშვილის ძლევა იყო. ეს მაშინ ბევრს არა სჯეროდა. ნონა, რომელიც 16 წლის მანძილზე ინარჩუნებდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას, 17 წლის გოგონასთან დამარცხდა. განთქმულ ქართველ დიდოსტატს ნორჩი, მაგრამ მეტად ღირსეული მემკვიდრე აღმოაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთი აღმავალი საფეხური

სწრაფად გაირბინა სამმა წელმა. 1981 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მაიას უკვე ახალი პრეტენდენტი, მასზე 12 წლით უფროსი ნანა ალექსანდრია შეხვდა, ბრძოლა ბორჯომსა და თბილისში მიმდინარეობდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი მძიმე მატჩი მაიას არასოდეს ჰქონია, მით უმეტეს, რომ ამჯერად მან მოგება ვერ შეძლო, ორთაბრძოლა ყაიმით (8:8) დამთავრდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ დებულების თანახმად ჩემპიონი თავის წოდებას ინარჩუნებს. ეს უკვე მეორე აღმავალი საფეხური გახლდათ.

გავიდა კიდევ სამი წელი. 1984 წელს ვოლგოგრადში მაიას წინაშე უკვე ახალი პრეტენდენტი, მასზე 7 წლით უფროსი ლენინგრადელი ირინე ლევიტინა წარსდგა. პაექრობა 11 სექტემბერს დაიწყო და 23 ოქტომბრამდე გასტანა. მაიამ კვლავ გაიმარჯვა და ერთი გერმანელი ჟურნალისტის (ემანუილ ლასკერის მიმართ ნათქვამი) ხუმრობა გაგვახსენა: „მატჩი მრავალფეროვნად მიმდინარეობს. ხან იგი იგებს, ხან კი მეტოქე აგებს“. ესეც მესამე აღმავალი საფეხური გახლდათ.

მომდევნო მატჩი უკვე ორი წლის შემდეგ გაიმართა, საქმე ის არის, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ შეცვალა მსოფლიო პირველობის მატჩების გამართვის დებულება. ეს შეჯიბრება ახლა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ კი არა, ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა, ამ შეხვედრამ ელენე ახმილოვსკაიასთან (2 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე ჯერ სოფიაში, ხოლო შემდეგ ბორჯომში) ისევ ბერლინელი ჟურნალისტის ხუმრობა გაგვახსენა: მაიამ იოლად გაიმარჯვა, ამას მეოთხე აღმავალი საფეხური ვუწოდოთ. ისევე, როგორც ყველა ადრინდელი მეტოქე, ახმილოვსკაიაც მაიაზე უფროსი იყო — ოთხი წლით უფროსი.

და აი მატჩი თელავში, რომელიც დიდხანს, ძალიან დიდხანს გვემახსოვრება. იგი ადრინდელთაგან უდავოდ განსხვავდებოდა: ჯერ ერთი მეტი სიმწვავით, მეორეც იმით, რომ მაია პირველად შეხვდა თავისზე ერთი წლით უმცროს მეტოქეს, მეტად ნიჭიერ ნანა იოსელიანს. პირდაპირ ვთქვათ, ვერც ლევიტინამ და ვერც ახმილოვსკაიამ ჩემპიონს რაიმე სერიოზული პრობლემები ვერ დაუყენეს. თელავში კი ასეთი პრობლემები იყო და თანაც რამდენიც გნებავთ! მე განსაკუთრებით მატჩის დასაწყისს ვგულისხმობ, როცა პრეტენდენტი, როგორც მას სჩვევია, თითქმის განუწყვეტლივ უტევდა, ჩიბურდანიძე კი, რომ იტყვიან გვიან „ამოძრავდა“ და ერთხანს შეუპოვარ თავდაცვაზე გადასვლა მოუხდა.

თელავის ისედაც მშვენიერი დრამატიული თეატრი ამ უნიჭიერეს მოჭადრაკეების ბრძოლამ კიდევ უფრო დაამშვენა. რა კარგი იყო სხვადასხვა საჭადრაკო ლოზუნგებითა და ემბლემებით მორთული ქალაქი, როგორ განიცდიდნენ გულშემატკივრები! მატჩი მსოფლიო პირველობაზე მონაწილეებს ძალიან ანერვიულებს ხოლმე, მაგრამ ამ ორ მომხიბლავ ახალგაზრდა ქალს ერთმანეთის მიმართ და არც მსაჯების მიმართ რაიმე პრეტენზია არა ჰქონია, რა თქმა უნდა თუ საჭადრაკო დაფაზე ბრძოლას არ გავითვალისწინებთ. ხომ არსებობდა პრეტენზიების მიმღებ — „სააპელაციო ჟიური“! რამდენი პროტესტი განიხილა მან?! ცხადია, არცერთი და დიდოსტატებიც ისე კორექტულად დაშორდნენ ერთმანეთს, როგორც შეხვდნენ. ასაღელვებელი კი ბევრი, ძალიან ბევრი ჰქონდათ.

თუ საწყისი პარტიები პრეტედენტის ინიციატივის ნიშნით მიმდინარეობდა, ჩემპიონმა თანდათანობით გამოიღო ხელი. თუ დასაწყისში გენადი კუზმინი და იგორ პოლოვოდინი (მსოფლიო ჩემპიონის სეკუნდანტები) უფრო ღელავდნენ ახლა უკვე ვიტალი ცეშკოვსკისა და ელიზბარ უბილავას (პრეზიდენტის სეკუნდანტებს) ჰქონდათ მეტი მღელვარება. სწორედ მატჩის ამ მონაკვეთში ვიხილეთ ჩვენ ნამდვილი მაია ჩიბურდანიძე; შეტევის ვირტუოზი, დაცვაში მეტად შეუპოვარი, ფსიქოლოგიური ბრძოლის ოსტატი, დახვეწილი ტექნიკის მქონე, ჭადრაკის დიდი ხელოვანი, მან მოიგო მეშვიდე და მეთერთმეტე პარტიები, ორი ქულით დაწინაურდა და ეს უპირატესობა ბოლომდე აღარ გაუშვია ხელიდან.

რა თქმა უნდა, ამ მატჩში დიდი ქების ღირსია ნანა იოსელიანიც, იგი თავიდან ბოლომდე შეუპოვრად, მედგრად იბრძოდა, ზოგიერთ პარტიაში უპირატესობაც ჰქონდა, თუმცა მას ბოლომდე ვერ იყენებდა. იყო, მაინც იყო ამ მატჩში განსხვავება ჩემპიონსა და პრეტენდენტს შორის! ეს განსხვავება, ჩვენის აზრით, მაინც გამოცდილებაში გამოიხატებოდა. ჩიბურდანიძე, ამდენი საპასუხისმგებლო ორთაბრძოლის შემდეგ მატჩის მსვლელობაში თავის სტიქიაში იყო. რა არ უნახავს მას ასეთი მატჩების დროს, რა არ გადახდენია! ამასთან ყველა განსაცდელს გაუძლო, ყველა დაბრკოლება გადალახა! იოსელიანს კი ასეთი გამოცდილება საიდან უნდა ჰქონოდა!

ჩვენ ახლა მეხუთე აღმავალ საფეხურზე ვილაპარაკეთ. ჩემპიონი ჩემპიონობს, დედოფალი დედოფლობს, პრეტენდენტებს კი კვლავ უკანდახევა უხდებათ. მაინც კიდევ რამდენ ასეთ საფეხურს დაძლევს მაია? ეტყობა, ბევრს. იგი ხომ ახალგაზრდაა, ენერგიით სავსე. წლიდან წლამდე ღრმავდება მისი საჭადრაკო ერუდიცია. მართლაც და როგორ გინდათ ჩემპიონს ებრძოლოთ? დებიუტების იმედი თუ გექნებათ, აქ სანუგეშოს ვერ ნახავთ. როგორც თეთრებით, ისე შავებითაც, მაიას მეტად მტკიცე, შესანიშნავად დამუშავებული სადებიუტო რეპერტუარი აქვს. თეთრებით ჩიბურდანიძე იყენებს როგორც ღია, ისე დახურულ დასაწყისებს და აი საოცრება. თითქოს აქ რაიმე განსხვავება არ არისო ერთ შემთხვევაშიც იღებს უპირატესობას და მეორეშიც. ბევრ დიდოსტატს აშკარად უჭირს შავებით თამაში. ჩვენ ჭადრაკის კორიფეების დასახელებაც კი შეგვიძლია. მაია „ფერს ყურადღებას არ აქცევს“. რამდენი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია მას სწორედ შავებით!

ერთი სიტყვით, მაიას მოწინააღმდეგეს მაინცდამაინც დებიუტის იმედი ვერ ექნება. მაგრამ დებიუტს ხომ შუა თამაში მოსდევს. რის იმედი შეიძლება ჰქონდეთ აქ მაიას მეტოქეებს?! თქვენ წარმოიდგინეთ, არაფრის! მაია ხომ შუა თამაშის ნამდვილი ვირტუოზია. ვთქვათ, პოზიცია თანაბარია, არცერთი მხრის უპირატესობა არა სჩანს, თითქოს ყაიმი მოახლოვდა. მეტოქე, შესაძლოა ვერა გრძნობს, რომ თითოეული მომდევნო სვლით მას, ჩემპიონს თანდათან სჯაბნის, მალე „უფსკრულისაკენ უბიძგებს“. დიახ, იგი მალე მიხვდება, რომ პოზიცია მკვეთრად გაუარესდა, მაგრამ როცა მიხვდება, გვიანღა იქნება!

როცა დებიუტსა და შუა თამაშში (ანუ მიტელშპილში) ჩემპიონს ძვრას ვერ უზამ, თეორიულად შეიძლება ენდშპილის იმედიღა გქონდეს. მაგრამ ისიც ვთქვათ თანამედროვეობის რომელ მოჭადრაკე ქალს აქვს ენდშპილში მაიასავით დახვეწილი ტექნიკა? ჩვენ შეგვიძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანოთ, როცა მაია მცირე ძალებით, სრულიად გამარტივებულ პოზიციაში სძლევდა ხოლმე მეტოქეებს. ერთი სიტყვით უძლეველი მაია ჩიბურდანიძე პრეტენდენტებს რაიმე შესაძლებლობებს აღარ უტოვებს. ქართულად ამას „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი“ ჰქვია.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ თავს ვაძლევთ უფლებას ვამტკიცოთ, რომ მაია კიდევ ბევრ აღმავალ საფეხურს აივლის, აიაროს და დასძლიოს ქართული ჭადრაკის, ქართული კულტურის სადიდებლად!

საქ. სსრ კ. [illegible] სახ. სახ. რესპუბ.

[illegible]ᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა დიდი ფორუმი

წელს, 14 ოქტომბერს, მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა ქალთა კომიტეტის პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ ქალთა ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან — ქალთა საბჭოების ხელმძღვანელები, საწარმო-დაწესებულებათა მოწინავენი, კულტურის, ხელოვნების ფრონტის მუშაკები, ქალთა ჟურნალების რედაქტორები. პლენუმი მიეძღვნა თემას — სკკპ მე-19 პარტკონფერენცია და საბჭოთა ქალთა ამოცანები. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ზოია პუხოვა.

თავის მოხსენებაში იგი შეეხო იმ უდიდეს გარდაქმნებს, რომლებიც ხორციელდება და კვლავაც განხორციელდება ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში, აქედან გამომდინარე, მან ილაპარაკა ქალთა როლზე ამ გარდაქმნებში, მათ აქტიურობაზე, მათ პასუხისმგებლობაზე.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო „ვიწრო ადგილებს“ ქალთა შრომასა და ცხოვრებაში, არაკეთილ გარემოს ქალთა სამუშაო უბნებზე — ხელით შრომას, მოძველებულ მანქანებს, ღამის ცვლებს, საყოფაცხოვრებო პირობების უგულვებელყოფას, ქალის მძიმე ტვირთს ოჯახსა და სამუშაო უბანზე.

ამხანაგ ზოია პუხოვას მოხსენება შეიცავდა კრიტიკას და თვითკრიტიკას, აყენებდა ამოცანებს, რომ მეტად დახმარებოდნენ ქალებს თავიანთი შრომისა და ცხოვრების გალამაზებაში, კეთილმოწყობაში, იმისათვის, რომ ქალებს, ბუნების ამ უმშვენიერეს ნამოღვაწართ არ დავიწყებოდეთ ღიმილი, ყოფილიყვნენ ყოველთვის მიმზიდველნი და სასურველნი როგორც თავისიანებისათვის ოჯახში, ისე საზოგადოებაში; იყო საუბარი თავისუფალი დროის პრობლემაზე, რაც ესოდენ აუცილებელია ქალთა სულიერი ყოფისათვის, მათი ზრდისათვის, თვითმყოფადობისათვის.

და ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, მივაღწევთ იმ რევოლუციური ძვრების განხორციელებით, რაც ამჟამად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში — საჯაროობით, ახლებური შრომით, პრინციპულობით, დემოკრატიით, ჰუმანურობით, საქმისადმი დიდი ერთგულებით, რაც მკვეთრად უნდა დაუპირისპირდეს უძრაობას, მაამებლობას, მომხვეჭელობას, ბიუროკრატიზმს, თვითნებობას, უდისციპლინობას, დაუპირისპირდეს და მოსპოს ძირფესვიანად.

პლენუმზე გამოდიოდნენ მისი მონაწილენი, კრიტიკულად, მაღალი ხმით გვაცნობდნენ საქმის მდგომარეობას ადგილებზე, თავიანთ უბნებზე, ჰყვებოდნენ თავიანთ პრობლემებზე, ტკივილებზე, თავიანთ შრომასა და მიღწევებზე გარდაქმნის განხორციელების საქმეში, თავიანთ ამოცანებზე სკკპ მე-19 პარტკონფერენციის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

იმისათვის, რომ ქალებმა შეასრულონ თავიანთი დიადი მისია გარდაქმნაში, მათ სჭირდებათ მხარდაჭერა, ხელშეწყობა, თანაგრძნობა და თანადგომა — საბოლოოდ ასეთი იყო სიტყვაში გამოსული ოცდაშვიდივე მონაწილის აზრი.

## საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

განიხილა რა საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის ზ. პ. პუხოვას მოხსენება „ქალთა საბჭოებისა და საბჭოთა ქალების კომიტეტის როლი გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე XIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“, პლენუმი აღნიშნავს:

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ჩქარდება გარდაქმნა. ეკონომიკის გარდაქმნამ, პო-

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მომხსენებელი ზოია პუხოვა

სხდომათა დარბაზში



ლიტიკურმა რეფორმამ, დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ მძლავრი იმპულსი მიანიჭა ქვეყნის განვითარებას, განმტკიცდა მისი ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის განახლებამ დააცხრო ბირთვული ომის საფრთხე, ხელი შეუწყო ხალხთა შორის ნდობის ზრდას და პლანეტაზე დაძაბულობის შენელებას.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა ხალხი სულ უფრო უჭერს მხარს პარტიის გარდაქმნის კურსს. მან მკაფიოდ წარმოაჩინა იმის მართალი სურათი, თუ რას მივაღწიეთ ამჟამინდელ ეტაპზე, უფრო ნათლად დაგვანახვა ის, რაც ჯერ გასაკეთებელია.

კონფერენციამ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხად დასახა ქალთა საკითხი.

გარდაქმნა წარმოუდგენელია, თუ ქალები ქმედითად არ ჩაერივნენ და მონაწილეობა არ მიიღეს ჩვენი საზოგადოების ყოველგვარ გარდაქმნაში.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ქალთა საბჭოების აქტიურობასა და ინიციატივაზე.

პლენუმს მიაჩნია, რომ ქალთა საბჭოების უპირველესი ამოცანებია აქტიურად ჩააბან ქალები ჩვენი საზოგადოების რევოლუციური განახლების პროცესებში, ხელი შეუწყონ იმას, რომ ყოველი ქალი თავის სამუშაო ადგილას კეთილსინდისიერად, შემოქმედებითად, თავდაუზოგავად და იმის გაგებით შრომობდეს, რომ მას თავისი თავისთვის, თავისი შვილებისთვის, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის აკეთებს. მაშინ გარდაქმნის ნაყოფს უფრო მალე მოიმკის ყოველი საბჭოთა ოჯახი.

პლენუმი აღნიშნავს, რომ ბევრ ქალს დაგაზიანებულ და მტვრიან საამქროებში, მოძველებული ტექნოლოგიით და ჩამორჩენილი მოწყობილობით უხდება მუშაობა. დიდია მძიმე, ხელით შრომის პროცენტი. შეუწყნარებელია, რომ თითქმის ოთხი მილიონი ქალი ღამის ცვლაში მუშაობს.

პლენუმი მიმართავს მსუბუქი მრეწველობის, პურპროდუქტების, ქიმიური მრეწველობის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის, გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტროების, საბჭოთა კავშირის საქაგრომრეწვის, სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს და მოითხოვს მათგან მტკიცე ღონისძიებანი განახორციელონ იმისათვის, რომ ქალები ღამის ცვლაში აღარ მუშაობდნენ.

საბჭოთა ქალების კომიტეტმა და ქალთა საბჭოებმა მეტი შეუპოვრობა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, იღვაწონ იმისათვის, რომ ისინი სოციალურად უფრო მეტად იყვნენ დაცული, უფრო მწვავედ დასვან ეს საკითხები პარტიული, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოების წინაშე.

ქალები იმედოვნებენ, რომ საკავშირო პროფსაბჭო და პროფკავშირული კომიტეტები, ბოლოს და ბოლოს ახლებურად მიუდგებიან ამ საკითხებს და საქმით გახდებიან მშრომელ ქალთა ინტერესების დამცველები.

პლენუმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სთხოვს განიხილოს სახელმწიფო დონეზე საგანგებო სტრუქტურული ქვეგანაყოფის შექმნის საკითხი იმ მიზნით, რომ შემუშავდეს ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა და კოორდინაცია და კონტროლი გაუწიოს ამ პროგრამის რეალიზაციისათვის სამინისტროებისა და უწყებების მუშაობას.

პლენუმი თანამედროვე პირობებში დიდმნიშვნელოვან ამოცანად სახავს უზრუნველყოფილი იყოს ქალთა მონაწილეობა ყველა იმ საკითხის გამო გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც უშუალოდ ეხება მათ ინტერესებს, ყველა დონეზე ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების მომზადება-დაწინაურებაში, და პარტიულ კომიტეტებს სთხოვს მეტი ყურადღება დაუთმონ ქალთა დაწინაურებას.

პოლიტიკური რეფორმის განხორციელების მსვლელობაში საბჭოთა ქალების კომიტეტი და ქალთა საბჭოები აქტიურად უნდა ჩაებან სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების მომზადებაში და საარჩევნო კამპანიაში. დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელონ ყველაზე კომპეტენტური, კოლექტივებში ნდობისა და ავტორიტეტის მქონე ადამიანები. ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას თავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ.

პლენუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შემოქმედებით კავშირებთან კონტაქტებისა და საქმიანი თანამშრომლობის გაძლიერებას.

პლენუმი ქალთა საბჭოებს მოუწოდებს აქტიური ღონისძიებანი განახორციელონ ზნეობრივი, პატრიოტული და, ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობის დასახვეწად, ყოველდღიური ყურადღება დაუთმონ ოჯახის განმტკიცების საკითხებს, საოჯახო ცხოვრებისათვის ქალიშვილებისა და ჭაბუკების მომზადებას, შვილების აღზრდისათვის მშობლების პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ოჯახის, დედობისა და მამობის პრესტიჟის ამაღლებას.

პლენუმის აზრით, კვლავაც უნდა განვითარდეს და გაღრმავდეს, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტების საფუძველზე თანამშრომლობა საზღვარგარეთის სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ქალთა ორგანიზაციებთან, ომის საწინააღმდეგო მოძრაობასთან, თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან უბირთვო მსოფლიოს, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის საკეთილდღეოდ.

პლენუმს პრინციპული მნიშვნელობის საქმედ მიაჩნია ქალთა საბჭოების დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაძლიერება, პასიურობის, მათ მუშაობაში ფორმალიზმისა და ხელოვნური ორგანიზებულობის გამოვლინებათა დაძლევა. ახლებურად გაიაზრებენ რა თავიანთ მდგომარეობასა და როლს სკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საბჭოთა ქალების კომიტეტმა და ქალთა საბჭოებმა უფრო ენერგიულად უნდა ჩართონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი გარდაქმნაში.

პლენუმი გამოთქვამს რწმენას, რომ ქალთა საბჭოები ყველაფერს იღონებენ ქალების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გასაძლიერებლად და თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის განახლებაში.

## პლენუმის მონაწილეთა მიმართვა სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალებს

აზერბაიჯანის ქალებო! სომხეთის ქალებო!

ძვირფასო მეგობრებო! დებო!

ჩვენ, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელი ქალები მოგმართავთ თქვენ.

აი, უკვე მერამდენე თვეა თქვენი რესპუბლიკებიდან მოსული ყოველივე ცნობა გულს გვტკენს და შეშფოთებას იწვევს.

ჩვენი საერთო ისტორიის უმძიმეს წლებშიც კი მეგობრობა, თანადგომა ერთმანეთის მიმართ რწმენა გვეხმარებოდა ყველაფრისთვის გაგვეძლო და გაგვემარჯვა. მაშ, რატომ არის, რომ დღეს, როცა ამდენი იმედი გვესახება გულში, ერთმანეთს აღარ უსმენენ, ერთმანეთისა აღარ ესმით ორი მოძმე რესპუბლიკის ადამიანებს, რომლებმაც დაივიწყეს პასუხისმგებლობა თავიანთი ქვეყნის წინაშე?

კავკასია ყოველთვის თაყვანს ცემდა წინაპართა ტრადიციებს. აქ სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ იმას, ვინც ბოროტი გულით შედიოდა სხვის ოჯახში, წყევლა-კრულვას იმსახურებდა ის, ვინც სხვის კერას ანგრევდა.

საუკუნეების, ათასწლეულების მანძილზე კავკასიაში ყველაზე მეტად ფასობდა ვაჟკაცის ამაყი ძლიერება, ქალთა დიდებული კეთილშობილება, რომლებმაც იცოდნენ ამ ძლიერების მართვა.

დღეს თქვენს სიბრძნესა და ღირსებას მივმართავთ!

თუ თქვენი ხალხების გულსა და გონებაში მშვიდობა და ურთიერთგაგება გამეფდება — ჩვენ კი გვწამს, რომ ასეც იქნება, — მაშინ ყველა პრობლემა, რომლებიც გადაუწყვეტლად გვეჩვენება, აუცილებლად გადაწყდება: აღიმართება ახალი საცხოვრებელი უბნები, საავადმყოფოები, კულტურის სასახლეები, მშობლიურ ენაზე აჟღერდება ტელე და რადიოგადაცემები და დაიწმინდება თქვენი ქალაქების ჰაერი.

სომხეთის დედებო! აზერბაიჯანის დედებო!

ჩვენ ვიცით, რა ტანჯვა-ვაებას განიცდით თქვენ იმის გამო, რაც დღეს თქვენს მიწა-წყალზე ხდება.

ჩვენ გვესმის, ძნელია ასეთ პირობებში არ დაიბნე, ემოციებსა და პროვოკაციურ მოწოდებებს არ აჰყვე.

მაგრამ თქვენ დედები ხართ. თქვენ პასუხს აგებთ თქვენი ერების მომავლის წინაშე!

დაუფიქრდით, რა გავლენას მოახდენს თქვენს შვილებსა და შვილიშვილებზე, მათს ჯანმრთელობაზე, ხასიათზე და ბედზე ერთმანეთისადმი ეჭვისა და უნდობლობის, ერთმანეთის დამცირებისა და თავაწყვეტილობის ეს შემზარავი დღეები.

თქვენს რესპუბლიკებში ათასობით ბავშვი შერეული ქორწინებით არის შობილი. ვინ იკისრებს იმ შავ-ბნელ მისიას, თუ შვილებმა რომელი მშობელი უნდა აირჩიონ და რომელი უარყონ და უღალატონ, რომელი ოჯახი გააუბედურონ?

თქვენი შვილების გულისთვის ყველაფერი იღონეთ, რომ გადაუხვიოთ ამ დამღუპველ გზას.

არ შეიძლება ძალით მოჰგლიჯო ერთმანეთს, ერთმანეთისგან გარიყო ხალხები, რომელთა ფესვები საუკუნეთა სიღრმეშია ერთმანეთში გადახლართული.

ერთი მზე აფერადებს თქვენი მხატვრების ფერწერულ ტილოებს, ერთმანეთს ერწყმის თქვენი სიმღერების მელოდიები.

აზერბაიჯანის ქალებო! სომხეთის ქალებო! მეგობრებო! დებო!

ამქვეყნად მხოლოდ ორი გრძნობაა, რომლებმაც საზღვარი არ იცის, — სიყვარული და სიძულვილი. მაგრამ თუ სიყვარულს ნათელი თვალები აქვს — სულგრძელი და შემოქმედია, სიძულვილი ბრმა და დამანგრეველია.

გასაქანს ნუ მისცემთ სიძულვილს თქვენს მიწა-წყალზე.

თქვენ ქალები ხართ, მშობნი სიცოცხლისა. თქვენს ოდითგანვე უფრთხილდებით და თავს ევლებით შვილს, ნებისმიერ წამს მზად ხართ მკერდით გადაეფოფროთ, უბედურებისა და საფრთხისაგან იხსნათ ოჯახის კერა. დღეს თქვენი სიტყვა უნდა თქვათ!

# სიმართლე სინათლეა

თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანებამ მქსოველი ლეილა კრიხელი XIX საკავშირო პარტკონფერენციის დელეგატად ერთხმად დაასახელა. ან რა გასაკვირია — ლეილამ ხომ გულმოდგინებით და საქმის სიყვარულით კარგა ხანია კოლექტივში საერთო აღიარება მოიპოვა. იგი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, აქვს მოვლენების კრიტიკულად შეფასების უნარი, გულწრფელად განიცდის ყოველგვარ ნაკლს, რომელიც მშობლიური საწარმოს წინსვლას აბრკოლებს.

ლეილა კრიხელი კონფერენციიდან დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა. საკითხები, რომლებზეც დიდ ფორუმზე იმსჯელეს, სისხლხორცეულად უკავშირდება მსუბუქი მრეწველობის შემდგომ განვითარებას. დღეს მოსახლეობა გრძნობს სასიკეთო ძვრებს, ხედავს, რომ ამ სისტემის საწარმოთა პროდუქცია, რომელიც სავაჭრო ქსელში გამოიტანეს, გაცილებით უკეთესია, ვიდრე მანამ იყო. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელიც ძალზე ბევრია.

— კონფერენციიდან დაბრუნებულს მრავალი საფიქრალი გამიჩნდა და მაწუხებს, ამბობს სკკპ XXVII ყრილობის და სკკპ XIX კონფერენციის დელეგატი ლეილა კრიხელი. — დღეს ერთმანეთის ქება-დიდებისათვის დრო არ უნდა დავკარგოთ, საჭიროდ მიმაჩნია გარკვეული, ჩამოყალიბებული პოზიცია გვქონდეს წამოჭრილი საკითხების ირგვლივ და ვიბრძოლოთ მათი დადებითად გადაწყვეტისათვის. სკკპ XIX კონფერენციაზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა ბრძანა: „ჩვენ უკვე არაერთხელ გვითქვამს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად პროდუქციის ზრდის ტემპს, არამედ მის რეალურ გაუმჯობესებას, ხალხის მოთხოვნილებათა ნამდვილად დაკმაყოფილებას... ვის სჭირდება სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვების ზრდა, თუ მათ არ ყიდულობენ მუშაობისას მცირე ეფექტიანობის გამო? მსუბუქ მრეწველობაშიც საჭიროა არა „მთლიანი მაჩვენებლები", არა თავისთავად წარმოების მოცულობა, არამედ ნაკეთობათა ისეთი კომპლექტი, რომელიც დააკმაყოფილებდა ადამიანთა რეალურ მოთხოვნას". როცა ამ სიტყვებს ვუფიქრდები, უნებლიეთ ჩემი საწარმო მახსენდება და მისი ბედ-იღბალი მაწუხებს, მართლაც, მუშაობის რა ფორმები შეიძლება გამოიძებნოს, რომ საწარმომ სული მოითქვას, მხრები გაშალოს, გაძლიერდეს მისი ფინანსური მდგომარეობა, მომხმარებელმა საუკეთესო ხარისხის პროდუქცია მიიღოს?

თბილისის აბრეშუმის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანებაში ოცდაორი წელია მქსოველად ვმუშაობ. აქ მზადდება ქსოვილთა შორის ერთ-ერთი უნაზესი და ულამაზესი ქართული შიფონი და აბრეშუმი, რომლებსაც ბევრი მუშტარი ჰყავს არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთში. მაგრამ, ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ ჩვენს ფაბრიკაში ბევრ დაზგას, რომლებზეც ეს ძვირფასი ნაწარმი იქსოვება, წლეულს ასი წელი უსრულდება. 1888 წელს ეგრეთწოდებული „რუიტის" დაზგები მოდაში იყო, და ვინ იცის, რამდენი სიხარული მოუტანა მქსოველებს, მაგრამ დღეს იმდენად მოძველდა, რომ მის დადებითს მხარეზე ლაპარაკი ძალიან მიმძიმს. დაზგები ხშირად ფუჭდება, სათადარიგო ნაწილებს კი ქარხნები აღარ უშვებენ. ასეთ დღეშია პნევმატური დაზგებიც, რომლებზეც მოქსოვილ ნაწარმს ხშირად უკან გვიბრუნებენ, ვიხდით ჯარიმებს, უფროსები კი მოგვიწოდებენ, უკეთესად ქსოვეთო. საქმეს მუყაითობას არ ვაკლებთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, პროდუქციის ხარისხი მდარეა და დღევანდელ მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ დაზგაზე წესიერად არც ერთი არტიკულის ქსოვილი არ იქსოვება. მაინც, როდემდე შეიძლება ეს დაზგები საწარმოში იდგეს? მათი მიზეზით პრემიას დავემშვიდობეთ, ჯარიმებს ველარ ავუდივართ.

შარშან ჩვენი საწარმო სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადავიდა, სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონი წარმოების განვითარებასა და ეფექტიანობის გაზრდას, მის ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების მატებას, რესურსების დაზოგვას, მოგების ზრდას გვავალებს, მაგრამ შევძლებთ კი ყოველივე ამას ასეთ პირობებში?

მიხარია, რომ აშენდა გაერთიანების ახალი კორპუსი. გამომყვან წარმოებაში, რომელიც თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, ჩვენს მიერ მოქსოვილი პროდუქცია გამოჰყავთ, მაგრამ მერწმუნეთ, საქსოვ წარმოებაში მოქსოვილი უხარისხო პროდუქციას ვერავინ უშველის, მის ნაკლს ვერ დაფარავ, ვერც გამოასწორებ.

ნედლეულზეც მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ. რესპუბლიკის რაიონების — თელავის, სამტრედიის, მახარაძის, წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი-საძახავი ფაბრიკებიდან ხშირად უხარისხო ნაწარმს გვაწვდიან. ამ ბოლოს თითქოს ხარისხი რამდენადმე გააუმჯობესეს, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელოა, რომ დღევანდელ მოთხოვნებს მაინც არ შეესაბამება, საქმეს ნედლეულის ურიტმო მოწოდებაც აფერხებს, საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში ამ ბოლო ხანს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობენ და მეც გადავწყვიტე ჩემი საწარმოს სატკივარი მეთქვა.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო დიდი ამოცანის წინაშე დგას. როდემდე შეიძლება საუკუნის დაზგებმა კვლავ იცოცხლონ და გვემსახურონ? თუ რადიკალური რამ არ ვიღონეთ, საწარმოს სახელმწიფო გეგმაც ჩაუვარდება, მუშაობის პირობები გაუარესდება, ჯარიმები მოიმატებს. მუშა ხელფასს ველარ მიიღებს და ეცდება სხვაგან გადაინაცვლოს. მით უმეტეს, რომ კადრები ძალიან გვიჭირს.

მიმდინარე მეთორმეტე ხუთწლედის სამი წლის პირადი გეგმა მე უკვე შევასრულე. იქნებ გაგიკვირდეთ, ასეთ რთულ სამუშაო პირობებში როგორ შეძელიო, მაგრამ ამ საიდუმლოსაც გაგიმხელთ. ორი წელია საკავშირო ნორმით გათვალისწინებული ოთხი დაზგის ნაცვლად შვიდ დაზგას ვემსახურები.

ლეილა კრიხელის გულწრფელობაში არავინ დაეჭვდება, სიმართლე სინათლეა. როგორც კონფერენციაზე ითქვა: „ბევრი რამ არის დამოკიდებული მსუბუქი მრეწველობის მუშაობაზე. დღეს ჩვენ, როგორც იტყვიან, ვიმკით ამ დარგის განვითარებისადმი მრავალი წლის აგდებული დამოკიდებულების ნაყოფს. მის საწარმოებში გამოიყენება მოძველებული მოწყობილობა, დიდია მძიმე ხელის შრომის წილი. ყოველივე ეს გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე".

იმედია, გარდაქმნის პირობებში ყველაფერს ილონებენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. დროა ასი წლის დაზგებს დავემშვიდობოთ, დავამკვიდროთ სიახლე!

**ლალი ქინქლაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მაია გვარამია

# გვარა-მიების ოჯახური იჯარა

სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ ზრდას.

მაგრამ რა გზით მივაღწიოთ ამას?

ხომ არ არის ხელისშემშლელი მიზეზები, რომლებიც წინ ეღობება და ამუხრუჭებს შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვას? მაშ, როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ იჯარული ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის დანერგვა ფერხდება. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ ჯერჯერობით რესპუბლიკაში იჯარაზე გადასულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხოლოდ 26,5 პროცენტი, ხოლო საარენდო ურთიერთობისათვის გადაცემულია სახნავის 4,7 პროცენტი, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 9,8 პროცენტი, ღორების 4,4 პროცენტი.

კოლმეურნეობათა და მეურნეობათა ხელმძღვანელებს მართებთ ამ ციფრებზე დაფიქრება.

უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში განსაკუთრებით გამოიკვეთა მეცხოველეობის ხვედრითი წილი. მისმა მოცულობამ ფულადი გამოსახულებით მთლიანი წარმოების 47 პროცენტი შეადგინა.

მოწინავეთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ნორიოს კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — მალხაზ კაჭარავა, პარტორგანიზაციის მდივანი — ალექსი მელაძე), რომელმაც შარშანდელი წელი 430 ათასი მანეთის მოგებით დაამთავრა. რენტაბელობამ 27,5 პროცენტი შეადგინა. წარმატებები აქვთ წლეულსაც. კოლმეურნეობაში თანდათან მკვიდრდება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები და მეთოდები. ქვემოთ ერთ-ერთ მათგანზე — გვარამიების ოჯახურ იჯარაზე მოგითხრობთ.

* * *

სოფელს მონატრებული ქალაქელი კაცისგან ხშირად გაგვიგონია ერთი ასეთი გამოთქმა: სოფლის სურნელი მომენატრაო. ადვილი მისახვედრია, თუ რას გულისხმობს იგი. ალბათ, ყველაფერს, რაც სოფლის იდილიას ერწყმის და ამრავალფეროვნებს.

აი, ასეთი „სოფლის სურნელის" შეგრძნება დაგვეუფლა, როცა ნორიოს ფერმის გზას დავადექით, — თავისებური და მაინც რაღაცით სასიამოვნო.

უჩვეულო სიმშვიდე და სისუფთავე იგრძნობოდა ფერმის ეზოს ყოველ კუთხეში. დილის ფაციფუცს, ეტყობა, უკვე ჩაევლო, მაგრამ ფერმაში მაინც ტრიალებდნენ. ეზოს განაპირა მხარეს პირუტყვის საკვებით დატვირთული მანქანა იდგა. მთასავით შემართულ ბზის „ბერკეტებს" კაფანდარა ქალი თავზე მოქცეოდა და გამალებით ცლიდა.

ჩემი გაოცება მხედველობიდან არ გამოპარვია ალექსი მელაძეს, პარტორგანიზაციის მდივანს. მომიბრუნდა და მითხრა: — ეგრე ნუ უყურებთ, ისეთი ყოჩაღი ქალია, იმდენს მუშაობს, ბარე ორი ჯანიანი კაცი ვერ შეძლებსო.

ბოლოს იქ შევჩერდით, სადაც გვარამიების ოჯახური ბრიგადა მუშაობს. თუმცა, ბრიგადა არც ეთქმის. ოფიციალურად სულ ორი ქალია ამ ოჯახურ იჯარაში. რძალ-დედამთილი ზაირა და თამარ გვარამიები, და კიდევ ერთი არაოფიციალური წევრი ზაირას ქალიშვილი — მერვე კლასის მოსწავლე მაია გვარამია.

პირველი, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მალხაზ კაჭარავამ მითხრა, ეს იყო: — თუ რაიმეს დაწერთ გვარამიების ოჯახურ იჯარაზე, ეს გოგონა არ გამოგრჩეთ, იმდენს შრომობს, უთუოდ იმსახურებსო.

გვარამიების ოჯახისთვის არ იყო „უცხო ხილი" პირუტყვის მოვლა-პატრონობა, სხვებისგან ადრეც გამოირჩეოდნენ მუყაითი შრომითა და გარჯით, მაგრამ მათი შრომის ანაზღაურება მცირე იყო — 120-150 მანეთს არ აღემატებოდა. არც მაშინ უწუწუნია რძალ-დედამთილს, თუმცა, გულში კი გაჰკრავდათ ხოლმე თავიანთი შრომის საფასურად ასე მცირე გასამრჯელოს რომ იღებდნენ. უფრო გულდასაწყვეტი კი ის იყო, რომ აგერ, მათ გვერდით, სხვა რომ ნაკლებად „იტკიებდა თავს", ისიც იმდენსვე იღებდა.

და როცა შრომის ანაზღაურებისა და ორგანიზაციის ახალი ფორმების დამკვიდრება გახდა საჭირო, რძალ-დედამთილს ბევრი არ უფიქრია — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უმალ გაანდევს ჩანაფიქრი. იმანაც, რა თქმა უნდა, მხარი აუბა და სიტყვა საქმედ იქცა — ხელშეკრულება გააფორმეს.

თამარ და ზაირა გვარამიებმა ასი სული სახორცე საქონელი გაიპიროვნეს. ხელშეკრულების თანახმად 120-150-კილოგრამიანი ექვსი თვის ხბორების წონამ 350-370 კილოგრამს უნდა მიაღწიოს, ყოველდღიურად კი გეგმა 510 გრამ წონამატებას ითვალისწინებს. ფაქტობრივად მათი წონამატება 850-1000 გრამს აღწევს. ამიტომ ექვს-შვიდ თვეში წონამატება 200 კილოგრამს უტოლდება, რაც ნორმალური წონაა პირუტყვის სარეალიზაციოდ.

რით აღწევს ასეთ დიდ შრომის ნაყოფიერებას გვარამიების ოჯახური ბრიგადა?

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ და ზაირა გვარამიები

ძირითადად იმით, რომ იციან თავიანთი კონკრეტული საქმე და ისიც, რომ მთლიანად მათზეა დამოკიდებული ამ საქმის შედეგი. ეს კი თავისთავად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბრიგადის შრომითს, მატერიალურ და მორალურ დაინტერესებას.

უთუოდ ისიც დაგვაინტერესებს, როგორია შრომის ანაზღაურება? ცენტნერი ხორცის წარმოებაზე 38 მანეთი ერიცხებათ. ეს ნიშნავს, რომ მათი საშუალო ხელფასი ყოველთვიურად 700-750 მანეთს აღწევს. გარდა ამისა, გეგმის გადამეტებით წარმოებული პროდუქციის 25 პროცენტს პრემიის სახით იღებენ. ეს თანხა კი წელიწადში 1400-დან 1500 მანეთამდე მერყეობს.

როგორ ფიქრობთ, იქნებიან თუ არა კმაყოფილი გვარამიების ოჯახის წევრები? ამაზე ქალბატონი თამარი და ზაირა დაუფიქრებლად გიპასუხებენ — კმაყოფილი რომ არ ვიყოთ, დღესა და ღამეს პირუტყვთან ტრიალში ვერ გავასწორებდითო. ისიც კი თქვეს, ამათი უმეთვალყუროდ დატოვება წუთითაც არ შეიძლება, ისეთი ლონიერები არიან, გვეშინია ერთმანეთს არაფერი დაუშავონო.

ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯერ კიდევ გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ პროდუქციის თვითღირებულება მაინც დიდია.

ეს პრობლემა, ვფიქრობთ, მაშინ მოიხსნება, როცა ადგილზევე დამზადებული საკვებით იქნებიან მთლიანად უზრუნველყოფილი და საჭირო არ იქნება მისი შემოტანა სხვა რაიონიდან თუ რესპუბლიკიდან. ამის გარანტია კი აბაშის რაიონში უკვე აქვთ.

აქაურ მშრომელებს კარგად ესმით, რომ გარდაქმნა ვერ ითმენს სხვის მოიმედეობას, თორემ სანამ უნდა ვურიგდებოდეთ მაღაზიებში ახალი ხორცისა და ყველის ნაკლებობას? როდემდე უნდა იყოს ბაზარში კილოგრამი ხორცი და ყველი შესაბამისად 6-7 და 10-12 მანეთი?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უთუოდ გვარამიებისა და მათი თანამოსაქმეების შრომის შედეგებმა უნდა გაგვცეს.

ნუნუ კუპრეიშვილი

# ახალი ლექსები

## ლილი ხუციშვილი

### სოფელში

წითელ კრამიტის სახურავებქვეშ
რა იმედია, რა სიხარული
ეზოში თოვლი და ჟრიამული.
ლოყას ედება სუსხის ხანძარი,
ჩამოიძენძა ნისლი და თქორი.
პაპამ ალესა ძველი ხანჯალი
და დასაკლავი ჭყვიტინებს ღორი.
ასე თენდება ახალ წლის დილა,
ცისფერი მთები მოჩანან შორით...
იქ ალაზანი, აქ იორია,
ვინა თქვა, გზები აქ იოლია,
დასაბრუნები გზა არის შორი.

* * *

გადაიარეს ცაზე ფრთოსნებმა,
თან წარიტაცეს მზის სხივოსნება,
მხოლოდ ერთგული ბეღურები შერჩნენ ხის ტოტებს
და ზამთრის სუსხზე წუწუნებენ დილაადრიან.
თითქოს ქართულად ჭიკჭიკებენ დღეს ბეღურები,
დარში, ავდარში ისინი ხომ ჩვენთან არიან.
მოფრინდებიან აბუზულნი დილას ფანჯრებთან,
მეც მაშინათვე გადავუყრი პეშვებით მარცვლებს...
მე ბეღურებთან მეგობრობა ისე დამჩემდა,
რომ მუდამ მესმის პაწაწინა გულების ფეთქვა,
რადგან ქართულად ჭიკჭიკებენ ეს ბეღურები,
ასე მგონია ჩემ ლექსებსაც მოფენენ ქვეყნად.

ქეთევან ელისაბედაშვილი-მხეიძე

# თვალი დაგიდგეს

მოთხრობა

რიყრაყი ისე არ აენთება, თალიკოს გზაზე არ შეეფეთოს. ამ დროს ყოველთვის ფოსტისთვის მიდის, მიიჩქარის, რომ ფოსტა დროზე მიიღოს და გაანაწილოს.

უწინ თალიკო ამ გზაზე ფეხით დადიოდა, მხარზე გადებულ აბგაში ჩუსტებს ჩაყრიდა, მოკალთავებულ კაბის ბოლოს ქამარში აიკეცავდა და — ჰერი...ი-ი... ვერცერთი მგზავრი ფეხს ვერ აუბამდა.

ახლა კი, არცერთი მძღოლი არ ეგულება, თალიკო რომ სალმით არ იცნობდეს.

ჰოდა, რომ იცნობენ, მანქანასაც იმიტომ უჩერებენ.

— მოდი, დედაკაცო! მოდი, დაჯექი! — ეძახიან მძღოლები და ზემო სოფლამდე ბატონკაცურად მიაქროლებენ. სულ ერთია, მანქანა ხრეშით იქნება დატვირთული, თუ ცემენტით, სახვაჰრობის ფართლეულით თუ კრამიტით, თალიკო თავს ყოველთვის კარგად გრძნობს, კაბინაში წელგამართული ზის და აქეთ-იქით იყურება.

დილაა, დილა — მყუდრო და მშვიდი. სიმინდის ყანებს ნიავი ფურცლავს. პურიც სიმწიფეში შესულა და ატლასის საბნის პირივით ლივლივებს. გიორგის სახლის მშენებლობა დაუმთავრებია და ბოსელთან კირიან სილას თავს უყრის, ამიტომ არის კოლმეურნეობის ჭარხალი ვერ გამოხშირა, დროზე წყალი არ მისცა და ველს ჭანგი და ეკალი მოედო. „ნეტა დამზადებაში რა პასუხს გასცემს?!“ — ფიქრობს თალიკო, რადგან სოფლის ავან-ჩავანი ხუთი თითივით იცის. მერე რა, რომ იცის, ყველას თავისი საქმე აბარია.

თალიკო ახლა ფოსტას მიიღებს, გაზეთებს იქვე თვალს გადაავლებს, თუ არ წაიკითხავს, ნახატებს მაინც დახედავს და ამავე მანქანით უკანვე გამობრუნდება — კაცი დროს მაშინ აფასებს, როცა მოცალეობა სანატრელი გაუხდება.

გატენილი აბგით თალიკო ისევ გზაზე ჩერდება. აგურით სავსე მანქანა გადაუცლიათ და ვეება თვითსაცლელი გზაზე მირახრახებს, აგურის ნაფხვენის წითელ კორიანტელს ნიავი მესერით მოღობილ ხეხილიანი ეზოებისკენ მიაქროლებს.

— ეჰეი, მეზობელო! მეზობელო! — ეძახის თალიკო მძღოლს და გზას გადაუჭრის.

მძღოლი უსიტყვოდ აღებს კაბინის კარს, თალიკოც უსიტყვოდ ადის და მძღოლის გვერდით ჯდება. გატენილ აბგას მოწიწებით მუხლებზე იდებს. თალიკო ახლა შინ მისვლასაც მოასწრებს, შვილიშვილებს დახედავს, რძალს ორიოდე დარიგებას ალერსიანად ეტყვის, ფრინველს დააპურებს, ერთ-ორ ლუკმას გადაყლაპავს და წყაროზე ჩავა.

წყარო სოფლის შუაგულშია, აი იქ, გზაჯვარედინთან, იქვე მოზრდილი ნაკადულია, ბოგირგადებული. როცა თალიკოს ჩუსტები არ ეცვა, ამ ბოგირთან ფეხს დაიბანდა და ფეხსაცმელებს ისე იცვამდა. ახლა ფეხის დაბანა აღარ სჭირდება, აღარც პატარა მატასურა მოჩხრიალებს თავის კალაპოტში, რადგან სარწყავში გადაუგდიათ, რაც ამ სოფელში იფურჩქნება და ჰყვავის, ყველაფერი ამ პატარა მდინარეს აბარია.

თალიკოსაც ამ სოფლის ახალი ამბები აბარია. ოჯახი არ არის, იმათ გარეულ და შინაურ საქმეებში ჩახედული არ იყოს! მერედა, განა თავისი პირახსნილი ცნობისმოყვარეობით? — არა, თალიკოს გამოჩენა ყველას თავისდაუნებურად ალაპარაკებს:

— გაიგე, ქალო, ტყუპები შესძენიათ!

— ჩემ გოგოს საკერავი მანქანა უყიდია! აგონებენ თალიკოს მიღებული წერილების შინაარსს, ვიდრე კიბეებს ჩაივლის, ვიდრე თვალს მოეფარება.

მაგრამ თალიკო არავის უსმენს. რაც ყურს ესმის, ის რომ ჭკუამ ატაროს, რა გაუძლებს — იღიმება ქალი. ფიქრი ისევ შინ გაურბის.

თალიკო რომ სოფლის ამბებს გადაჰყოლოდა, თავის კოლმეურნეობას სანაქებო შვილს როგორ გაუზრდიდა. მარტო თავისთვის არც ამდენს იზრუნებდა. შვილი რომ არა, იმ ცხონებულის დაღუპვის შემდეგ ერთ ვაჟკაცს ისიც იშოვიდა და სოფლის გზებზე სიარულის მაგივრად სხვა ქალებივით ისიც შინ იფუსფუსებდა.

იმ ხანად ოციოდე წლის თალიკო შემომტანი ვაჟკაციც გახდა და პირსხივიანი დედაკაციც. სხივი, აბა, სადღა აქვს თალიკოს თვალებს. განზე დამჯდარმა, ეშხით სავსე თვალებმა სხივი მაშინ დაჰკარგა, როცა ცრემლმა იდინა და იდინა... მაგრამ ახლა რაღადროს მაგაზე ფიქრია?! მხურვალე მზე შუა ცისკენ დაიძრა და დედამიწას დააცქერდა, თითქოს პირველად დაინახაო მიწის მშვენება.

მძღოლმა მანქანა ბოგირთან გააჩერა.

— გმადლობთ, გეთაყვა, გმადლობთ! — უთხრა თალიკომ, როცა აბგა აიღო და მანქანიდან ბარბაცით გადმოვიდა. — მაწყინა, ბიჭო, პატივისცემამ, — შეჰღიმა ჭაბუკს. მძღოლმა უსიტყვოდ გაუღიმა და მანქანა დასძრა.

კოკურებითა და ლიტრებით წყაროზე ხალხი უკვე მოსულიყო. მარშლიაანთ რძალი, ფეფოს ბიჭი და პატარა ნატო ღამენათევ ჭურჭელს გრილ წყალს ავლებდნენ.

— აჰა, გოგო, მამას უთხარი, ამ გაზეთში თქვენი ბრიგადა ხატიათქო.

— შენ გაზრდას, ეს წერილი გიგლას მიურბენინე!

ის წერილი კი, რატომღაც, თავის ჯიბეში ჩააცურა. ჯანდაბას, ამ წერილს მე თვითონ მივუტან! — გაიფიქრა თალიკომ, როცა გაზეთები ერთიანად ჩამოარიგა და ნიკალასთან მიმსვლელს თვალი ვერსად შეასწრო. ახლახანს დაქვრივებულ ნიკალასთნ მისვლას თალიკო ერიდებოდა. ენამწარე სოფლის ბიჭები სამსახურში გასულ დედაკაცს ხუმრობით ხშირად აგონებდნენ:

— ნიკალა გელის, შენი ნიკალა, არ დაივიწყო შენი ბებერი!

ამ უკბილო ხუმრობას, აბა, რა ძალა ჰქონდა, მაგრამ, ქალს მაინც გულზე კბენდა ხოლმე. შვილიშვილების პატრონი ვარ, აბა, ასეთი ხუმრობა რა წესია, გაიფიქრა თალიკომ, როცა ნიკალას დიდ მარანზე და გომურზე გამართული მეორე სართულის კიბეები აიარა. წითელი ფილაქნით მოგებული ვრცელი აივანი, რომელსაც ოჯახი გვიან შემოდგომამდე ოთახივით ხმარობდა, ოთახებისგან მხოლოდ იმითი განსხვავდებოდა, რომ ცალმხრივ შეხსნილი კედელი მოვარაყებული ხის მოაჯირით მოზრდილ ვენახს გადასცქეროდა, აივანზე ასვლისთანავე თალიკომ თვალი მოავლო კედელთან მიდგმულ ტახტსა და გრძელ მაგიდას, ლოგინის შესანახ მალალკარიან თახჩას. ამ საცოდავს ლოგინიც კი არ აუკეცია! — თქვა თავისთვის, ჩანთა მოაჯირთან დააგდო, მაგიდის უკან კედელთან, ტახტზე გაშლილი ლოგინი აახვია, და ვიდრე თახჩაში შედებდა, — ნიკალა, ჰაი, ნიკალა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანანა ზარიძის ნახატი

და ხარ, კაცო! — დაიძახა ხმამაღლა, მაგრამ არავინ გამოეგება. ვენახში თუა! — თქვა და აივნის მოაჯირთან მივიდა.

ვენახს, რომელსაც შაბიამნის კორფილი ჯერაც არ მოერეცხა, ხოხბის ყელივით ფირუზი დაჰკრავდა.

თალიკომ ვენახს მოავლო თვალი, მერე ღობესთან გაფოთლილ საადრეო ატმებს გახედა. ნერწყვი მოადგა, აბგას ხელი დაავლო და კიბეები ჩაიარა. ვენახის კარი შეაღო და ატმებისკენ გაინაპირა.

— ნეტა თუ მართლა ეწყინება, რომ დამინახოს, — გაიფიქრა თალიკომ, როცა პირი ჩაიტკბარუნა, როცა კიდევ მოწყვიტა და ჯიბეში ჩაიგორა.

ვიდრე ატამი ხეს თვითონ არ დასცვივდებოდა, ნიკალა არც თავად ჭამდა და არც არავის შესთავაზებდა. ჩამოცვენილ ხილს კი სათითაოდ წამოკრეფდა და საარაყე ქვევრში ჩაყრიდა.

აბა, ვის არ გადაუკრავს ნიკალას გამოხდილი არაყი, თუკი ვინმე ღლიურ სამუშაოზე მოხმარებია, თუ ვინმე რთველში სწვევია, მაგრამ ხალხმა მაინც ძუნწი ნიკალა შეარქვა. აბა, ვინ ჩაუთვლიდა გულუხვობაში, როცა სალამო ჟამს, მარტოობით გაბეზრებული მოხუცებული, ჭიშკართან იჯდა და სოფლის გზაზე ჟივილ-ხივილით მორბენალ გოგო-ბიჭებს დაკროლილი კაკლითა და თხილით უვსებდა მუჭებს.

თალიკომ ის იყო ორიოდე ატმით პირი გაისველა, რომ ვაზებში მოხუცს შეასწრო თვალი.

— ნათლი, ჰაი ნათლი, წერილი მოგიტანე! — შეეხმიანა.

ნიკალა ადგილიდან არ დაძრულა. გოროხებს თოხი დაჰკრა და ვაზებში მიშვებულ წყალს გზა მისცა.

— აჰა, კაცო წერილი, შენი წერილი! — გაუწოდა თალიკომ.

მოხუცმა აზლაღა გამოიხედა.

— ვისგანაა ნეტა? — იკითხა დინჯად.

— ვისგან იქნება, შენი შვილისგან.

— ჩემს მარტოობას იმისი წერილი უშველის? — თქვა შვილს დანატრებულმა მოხუცმა საყვედურით.

— რას ერჩი, ნეტა, უმაღლესი იმიტომ დაამთავრა, რომ შენსავით მიწა ეჩიჩქნა? ნეტა აქ რას უზიხარ, წადი და იმ ბედნიერ ოჯახში შენც იცხოვრე.

ნიკალამ აზლაღა გამოართვა წერილი და ხალათის ჯიბეში ჩაიცურა.

— იქ არ ვიყავი? ვიდრე აქეთ წამოვიდოდი, სული კბილით მეჭირა.

— რათა, კაცო?!

— იმათა, რომ დიდ-პატარა დილიდანვე თავის საქმეზე გარბოდა, მე კი ისლა დამრჩენოდა, აივანზე გავსულიყავი და სალამომდე, ვიდრე ვინმე მობრუნდებოდა, დაგეშილი მანქანების ალიაქოთისთვის მეყურებინა.

ეტყობა, თალიკო თვითონაც ეთანხმებოდა. პასუხად ვერაფერი მიუგო.

— ქალაქში ცხოვრება არ შემიძლია. ამ სიწყნარეს, ამ ჰაერს შეჩვეულმა კაცმა ქალაქში როგორ გავძლო, ჩემ სოფელს, ჩემ სახლკარს, ჩემ ვენახს ვუღალატო? მაშ, ადამიანი რისთვის მქვია?

— კარგი, კარგი, თუ კაცი ხარ, ნუ ჭირვეულობ, — უთხრა თალიკომ და უსიტყვოდ შეავლო თვალი მოხუცს.

ოდესღაც წარმოსადეგი, ბრგე ვაჟკაცისთვის დროს თავისი მძიმე ტორი დაედო და სიბერის ხაფანგში მოემწყვდია.

— თვალი დაგიდგეს, სიბერევ, მოურჩენელი ჭირი ხარ! — გაიფიქრა თალიკომ, მოხუცს კი გამამხნევებელი ღიმილით უთხრა:

— ჰო, კარგი, კარგი, შენი ჭირიმე, კაცი კაცით არის ამ ქვეყანაზე, თუ რამე გიჭირს, აქ არა ვართ? თუ საჩემო საქმე გაქვს რამე, ნაშუადღევს გადმოვალ და გაგიკეთებ, — თქვა ღიმილით ქალმა და ვენახის კარს მიაშურა. თვალი დაგიდგეს, სიბერევ, თვალი დაგიდგეს, მოურჩენელი ჭირი ხარ! — ფიქრობდა ქალი და თვითონაც თითქო იგრძნო სიბერის შემბოჭავი ხენი, მუხლები უცნაურად მოუდუნდა, აზლაღა გაახსენდა, რომ პენსიაზე წარადგინეს.

— თვალი დაგიდგეს, სიბერევ, მოურჩენელი ჭირი ხარ! — კვლავ გაიფიქრა ქალმა გზის პირზე და ღობესთან გამართულ სკამზე შესახვენებლად ჩამოჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამაგდარი

თინა ქუთათელაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკაში სამშენებლო საქმის განვითარებაში.

ქალბატონმა თინამ შრომითი საქმიანობა 30-იან წლებში დაიწყო. ეს ინდუსტრიალიზაციის წლები იყო. ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა ინჟინერს თბილისში ვერაზე აბანოს მშენებლობა მიენდო.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა ინჟინერმა საქმეს კარგად გაართვა თავი და მას მეტად საპასუხისმგებლო სასკოლო მშენებლობა შესთავაზეს. ქალაქი განსაკუთრებით მისი ახალი უბნები, სკოლების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა,

ქალბატონი თინა ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა საქმეს, მშენებლობისას სიახლეები გამოიყენა და სასკოლო შენობის აგება ვადაზე — ოთხ თვეში დაამთავრა. სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა და ახალგაზრდა ინჟინრის მონდომებისა და უნარის აღსანიშნავად მშენებლებმა და პედაგოგებმა სიმბოლური ლენტის გადაჭრის პატივი მას დასდეს.

მაგრამ ამ ობიექტზე გამოყენებული სიახლისათვის ქალბატონ თინას ბევრად უფრო მეტი პატივი ელოდა, ვიდრე უფლება სკოლის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმზე ლენტის გადაჭრისა. საქმე ისაა, რომ სიახლე მშენებლობაში ბუნებრივ ფორიან შემვსებზე დამზადებული მეტად ეფექტიანი მასალების — მსუბუქი ბეტონისა და რკინა-ბეტონის გამოყენებას ეხებოდა. მოსკოველი ბევრი ცნობილი სპეცალისტი ამ სიახლეს ეჭვის თვალით უყურებდა. ფიქრობდნენ, რომ მსუბუქ ბეტონსა და რკინა-ბეტონს საკმაო ხანგამძლეობა არ ექნებოდა. ქალბატონი თინა არ შეუშინდა სიახლეს. მან თამამად გამოიყენა მსუბუქი ბეტონი სკოლის მშენებლობისას და ამით იმ პირველგამკვალავთა რიგში ჩადგა, რომელთაც მსოფლიოში პირველებმა დაამტკიცეს ბუნებრივ ფორიან შემვსებებზე დამზადებული ბეტონისა და რკინაბეტონის გამოყენების შესაძლებლობა პასუხსაგებ ნაგებობებში.

იგი შემდგომშიც ერთგული დარჩა ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას არჩეული გზისა და ამისათვის სხვა ნოვატორებთან ერთად 1987 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მაგრამ ამ აღიარებამდე ქალბატონმა თინამ ბევრი სხვა სასიკეთო საქმეც გააკეთა. სასკოლო მშენებლობაზე გამოჩენილი ორგანიზატორული ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. 1940 წელს მას, ჯერ დევ სრულიად ახალგაზრდას, დღევანდელი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშენებლობის სამმართველოს ერთ-ერთ მეტად საპასუხისმგებლო უბნის უფროსის ადგილი შესთავაზეს. მას საავიაციო ძრავების საამქროს კორპუსი უნდა აეშენებინა. ომის შემზარავი სუნთქვა სულ უფრო მძაფრად იგრძნობოდა და გასაგებია ის მღელვარება, რომელმაც მოიცვა იგი. ეს საამქრო ხომ მთელი საავიაციო ქარხნის გულად უნდა ქცეულიყო. მან წარმოიდგინა თუ რა შედეგი მოჰყვებოდა საამქროს მშენებლობის დაგვიანებას და ჯერ შეყოყმანდა. მაგრამ საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა საბოლოოდ მაინც დიდი საქმე იტვირთა. მისთვის მინდობილი ობიექტის მშენებლობა დროულად დასრულდა და ქალბატონი თინა უფრო საპასუხისმგებლო დავალების წინაშე აღმოჩნდა, ფაშისტური გერმანია ჩვენს ქვეყანას ვერაგულად დაესხა თავს. საჭირო შეიქნა ქვეყნის დასავლეთი რაიონებიდან სამრეწველო ობიექტების აღმოსავლეთში გადახიზნვა. საფრთხე ელოდა როსტოვის ოლქსაც და ამიტომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით ევაკუირებული ტაგანროგის საავიაციო ქარხანა თბილისში უნდა დამონტაჟებულიყო.

## პოეზია

### ზინა სოლომნიშვილი

* * *

ისეთი ცეცხლით მეწვის ძარღვები,
ჯანდაბას იქით ყველა ლოდინი...
დგას ფანჯარაში ლალი გოგონა
აფეთქებული ატმის ტოტივით...
ლამის მტრედივით შემოჰკრას ფრთა-ფრთას,
დედობის სურვილს ველარხად მალავს...
გზაზე მიმავალ მთასავით ჭაბუკს
ნატრობს საკუთარ შვილების მამად.

* * *

თითნი უგავდნენ მოკაკვულ სანთლებს,
იდგნენ სტუმრები თავდახრილები...
ილიმებოდა,
რადგან მოსვლოდნენ
შორეთში მყოფი ვაჟიშვილები...
ვით ქალაქელი ლამაზი რძალი,
იყო მის გვერდზე მზე დაფრენილი...

პირქვე ეყარნენ
ზვარში ვაზები,
მუხლებმოკვეთილ
დედაბრებივით.

* * *

ბარდებში ენთნენ ციცინათელები,
ელნათურები აჰყუტდნენ თვალებს...
შამოჰფხრეწოდათ ხეებს კაბები
და გაწეწილნი მისდევდნენ ქარებს...
კოცნით ახრჩობდა
გოგოს ჭაბუკი,
გოგოს კისკისით
მიჰქონდა ღამე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწყდა ახალი ობიექტების მშენებლობა და მთელი ყურადღება ტაგანროგის საავიაციო ქარხნის აღჭურვილობის თბილისში დამონტაჟების შესაძლებლობათა უზრუნველყოფას მიექცა.

თინა ქუთათელაძე ამ მეტად სერიოზული დავალების შესრულებას სხვებთან ერთად თავდაუზოგავად შეუდგა და ვადაზე მოახერხეს საავიაციო ქარხნის ურთულესი დამონტაჟებისათვის საჭირო პირობების შექმნა. ეს დიდი შრომა, რომელიც მაღალ პროფესიონალიზმსაც მოითხოვდა, ღირსეულად დაფასდა. მშენებელთა დიდი ჯგუფის ღვაწლი მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა, ქალბატონი თინა შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

ამ დროისათვის იგი უკვე აღიარებული მშენებელი გახდა და დაიწყო მისი აღმასვლა: სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ტრესტის საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსი, სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი და მმართველის მოადგილე, თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მშენებლობისა და ქალაქის მეურნეობის განყოფილების გამგე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მშენებლობის და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ჯერ მოადგილე, შემდეგ კი პირველი მოადგილე.

იმათ, ვისაც ქალბატონ თინასთან ჰქონია საქმე რაიონულ თუ საქალაქო საბჭოში მუშაობისას, მასზე მეტად საინტერესო შთაბეჭდილებები შექმნიათ. მის პირად არქივში შენახულია წერილები, რომლებშიც გულისხმიერებისა და გაწეული დახმარებისათვის მოქალაქეთა დიდი მადლობაა გამოთქმული. ერთ-ერთს ლექსით გაუმჟღავნებია თავისი მადლობა და საინტერესოა, რომ ბოლოს ხელი არ მოუწერია, გვარის ნაცვლად მხოლოდ ინიციალებია მითითებული. კითხვაზე, თუ ვინ არის ლექსის ავტორი ქალბატონმა თინამ მიპასუხა — მე იმდენს გავუმართე ხელი, რომ ყველას როგორ დავიმახსოვრებდიო.

დღეს ქალბატონი თინა საქართველოს სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, იხილავს და წყვეტს მშენებლობის საჭირბოროტო თუ სხვადასხვა ინსტიტუტისა ან სპეციალისტის მიერ შემოთავაზებული სიახლეების წარმოებაში დანერგვის საკითხებს. ცოტა ხნით თუ დადუმდება ტელეფონი. მას ურეკავენ თბილისიდან, საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან. მშენებლობა ყველგან მიდის, ზოგჯერ ხელისშემშლელი ვითარება იქმნება და თხოვენ დახმარებას ამა თუ იმ ობიექტის დაპროექტებასთან, დაფინანსებასთან ან საშენი მასალებითა და კონსტრუქციებით დროულად უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. იგი ზოგს ოდნავ დატუქსავს, საყვედურსაც ეტყვის, მაგრამ დახმარებაზე უარს არავის ეუბნება. რეკავს მოსკოვის, თბილისის, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების უწყებებში, ეუბნება ჩვენი მშენებლების სატკივარს და როგორც წესი, დახმარების პირობას იღებს. მას ყველა იცნობს, პატივს ცემს და არავინ აწბილებს.

დიახ, იგი გულისხმიერი, ყველასთვის მზრუნველი ადამიანია. ამასთან მკაცრია, მომთხოვნი და შეუპოვარი, როცა ამას ვითარება კარნახობს. ასეთი ვითარება კი არც თუ იშვიათია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება რომელიმე ობიექტის მიღება-ჩაბარებას. ეს თვალსაჩინო ობიექტებია სასტუმრო „ივერია“ და „აჭარა“, გრიბოედოვის სახელობის თეატრი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კომპლექსი, 1200 ადგილიანი რესპუბლიკური საავადმყოფო, ჭადრაკის სასახლე და მრავალი სხვა. ამ შემთხვევაში იგი დათმობაზე არ მიდის, ვერც ვერავითარ ხარვეზს გამოაპარებთ და მკაცრად მოითხოვს მშენებლისაგან ყველა შემჩნეული ნაკლის გამოსწორებას.

ეს გარჯა და ამაგი, მისი მაღალი პროფესიული კულტურა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი. მიღებული აქვს სამი შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მრავალი მედალი.

ქალბატონ თინას საქმიანი ბიოგრაფია გარკვეულწილად საქართველოში ხუთწლედების მანძილზე მშენებლობის გაშლის სურათს იძლევა. ბევრი სიძნელეების გადალახვა მოუხდათ ჩვენს მშენებლებს, მათ შორის ქალბატონ თინასაც, და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი დიდ ამოცანას. იგი ტოლს არ უდებდა კაცებს... დაუცხრომელმა ენერგიამ, თავდადებამ, ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისას გამჭრიახობამ და სითამამემ დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოუპოვა მშენებელთა და დამპროექტებელთა შორის.

...და ბოლოს, თინა ქუთათელაძე კარგი დედაა სახელოვანი არქიტექტორი შვილისა, უფრო დიდებული ბებიაა, სჯერა, რომ მომავალი ინჟინრები თუ არქიტექტორები გააგრძელებენ ოჯახურ ტრადიციას.

თინა ქუთათელაძის მდიდარი ბიოგრაფია, პროფესიონალიზმი, თავდადება, კეთილმოსურნეობა კარგი მაგალითია მშენებელთა ახალი თაობებისათვის.

ზ. ჭილოსანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

## შენი მთებიდან

შენ, ცაო, ჩემო, მრავლის მოწამევ,
შენ ხომ გინახავს, შენ ხომ ხედავდი,
საით გაჰქროლა შავმა მერანმა,
სად წაიყვანა ბრძენი მხედარი?!
შენ, მიწავ ჩემო, სისხლით მორწყულო,
მიწავ, რუსთველის ცისფერ აისის,
ხომ გაგონდება ჟამნი ბრძოლების,
საბედისწერო შენი კრწანისი?!
ბევრის მოწმეა სვეტიცხოველი,
გელათი, გრემი და ალავერდი,
მტრისგან დევნილი, ხალხის საუნჯეს
აქ მალავდი და აქ ალაგებდი!
შენ სიბრძნის წყარო გქონდა მარადის,
შენს მწარე წარსულს ქარი გასწევის,
შენი მთებიდან კვლავ აფრინდება
და ინავარდებს ცაში არწივი!
შენ, მიწავ ჩემო, გაუქრობელო,
ქვეყნიერების ტურფა ნაწილო,
ის ჭეშმარიტი შვილია შენი,
ვისაც სურს, მსხვერპლად რომ შეგეწიროს!

ეთერ ქელეხსაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიამ ლორთქიფანიძე

# თამარ მეფე



მეთორმეტე საუკუნეში საქართველო დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო.

თამარის სახელოვან წინაპართა — ბაგრატ III-ის (975-1014), დავით IV აღმაშენებლის (1098-1125), გიორგი III-ის (1156-1184) დროს ქვეყანამ თანდათან გაშალა მხრები უცხო დამპყრობთა და შინაფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლებით დასრულდა ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. შეიქმნა მეფის ძლიერი თვითმპყრობელური ხელისუფლება. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების ჟამს საქართველო გადაჭიმული იყო ნიკოფსით-დარუბანდამდე და ოვსეთით არეგანამდე.

საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდნენ სომხეთი და შირვანი.

დავითის დროს მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების მორჩილებაში ჩაყენებული ფეოდალური არისტოკრატია დემეტრესა და გიორგის მეფობაში თავისი ოდინდელი მდგომარეობის აღდგენას ცდილობდა.

გიორგი III-ემ დაამარცხა მეამბოხე ფეოდალები და სასტიკად დასაჯა მეფის წინააღმდეგ შეთქმულნი ორბელთა მეთაურობით, რომლებიც დემნას უფლებების აღსადგენად იბრძოდნენ.

„სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული“ — ბრძანებს რუსთველი.

გიორგი III-ს ძე არ ჰყავდა, ტახტის მემკვიდრე ქალი — თამარი იყო. თვითონ გიორგი თავისი მამის, მეფე დემეტრეს უმცროსი ვაჟი იყო. სამეფო გვირგვინი კი უფროს ვაჟს ეკუთვნოდა. მეფე დემეტრე I უპირველესობას უმცროს ვაჟს, გიორგის ანიჭებდა და ის სურდა მეფედ. მამა-შვილს (დემეტრე-დავითს) შორის კონფლიქტის მიზეზი ძნელი გასარკვევია, მაგრამ აშკარაა, რომ ამ კონფლიქტს ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. უფლისწულ დავითს თავისი მომხრეები ჰყავდა, რომელთა დახმარებითაც მან მამა ტახტიდან ჩამოაგდო და აიძულა ბერად აღკვეცილიყო (1155 წ.), მაგრამ ღმერთმა შეიწყნარა მამის ლოცვაო, — წერს ქართველი ისტორიკოსი, და ულირსი შვილი ექვს თვეში გარდაიცვალა. სომეხი ისტორიკოსი კი გვაუწყებს, რომ დავითი დემეტრესა და გიორგის მომხრეებმა მოწამლესო. ქართველი ისტორიკოსის ცნობით, დემეტრე დაბრუნდა ტახტზე, მაგრამ ისიც მალე გარდაიცვალა და მეფობა უმცროსმა ვაჟმა, ახლა უკვე კანონიერმა მემკვიდრემ, გიორგიმ მიიღო.

ამ ამბების შესახებ სულ სხვაგვარად მოგვითხრობს გიორგი III-ის მოწინააღმდეგე, ქართველ ორბელთა გასომხებული შტოს შთამომავალი სტეფანოზ ორბელიანი. იგი აღნიშნავს, რომ დემეტრე ტახტზე არ დაბრუნებულა, ის დავითის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ, ბუნებრივია, ტახტი მის ძეს, დემეტრეს (დემნას) ეკუთვნოდა, რომლის მცირეწლოვანების გამო მეურვედ ბიძა, გიორგი დაუნიშნეს. მან დიდებულებს მეფის გვირგვინი მოსთხოვა იმ პირობით, რომ დემნას სრულწლოვანებისთანავე გვირგვინს უკან დაუბრუნებდა ძმისწულს, მაგრამ მან ეს პირობა არ შეასრულა. მაშინ დიდებულები, იოანე ორბელის მეთაურობით, რომლის

სიძეც დემნა იყო, აუჯანყდნენ გიორგის და ტახტის კანონიერი მემკვიდრის უფლებები მოითხოვეს.

სტეფანოზ ორბელიანის მონათხრობში ბევრი რამ იწვევს ეჭვს. საეჭვოა, რომ დიდებულებს დემნას მამის, დავითის წინააღმდეგ მებრძოლი (თუ მკვლელი?) გიორგის მიმართ ისეთი ნდობა გამოეცხადებინოთ, რომ მისთვის ტახტი დაეთმოთ. დემნა რომ სამეფოდ გამზადებული ყოფილიყო, საეჭვოა ის ორბელთა სიძე გამხდარიყო, რადგან ერთიან საქართველოში მეფეებს თავის ქვეშევრდომებზე დაქორწინების უფლება არ ჰქონოდათ. მართალია, ქართველი ისტორიკოსი სუბიექტურია, ის გიორგის მოქმედებათა გამართლებას ცდილობს და მის ცნობებსაც კრიტიკულად მიდგომა ესაჭიროება, მაგრამ მისი ეს ცნობები ლოგიკურად უფრო გამართული ჩანს.

გიორგის მემკვიდრისათვის გაიხსნა გზა ტახტისაკენ, რომელიც მხოლოდ ვარდებით არ იყო მოფენილი.

საქართველოში არ არსებობდა ქალის მეფობის ტრადიცია. მეფე გიორგის კარგად ესმოდა ამ აქტის მნიშვნელობა და სირთულე. 1173 წელს გიორგიმ თამარი თანამოსაყდრედ აკურთხა ყველა წესების დაცვით. თამარი ტახტზე აიყვანეს „თანადგომითა ყოველი პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“.

ექვსი წლის განმავლობაში თამარი მამასთან და დიდ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად განაგებდა ქვეყანას. ამ ხნის მანძილზე ის გიორგისთან ერთად მონაწილეობდა სახელმწიფოს მმართველობაში. დიდი ნიჭით დაჯილდოებულ შვილს გიორგი წვრთნიდა, მომავალ საპასუხისმგებლო საქმიანობისათვის ამზადებდა.

ამ თანამოსაყდრეობის დროინდელი მონეტები გიორგის და თამარის სახელით იჭრებოდა. მათივე სახელით იცემოდა განკარგულებები და კანონები...

1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა. დიდებულებმა თამარი ხელმეორედ აკურთხეს მეფედ, მეფედ კურთხევის წესის ყველა იმ რიტუალების დაცვით, რომლებიც ამ ცერემონიალში ძირძველ ფეოდალთა უშუალო მონაწილეობაზე მიუთითებს. ნიშანდობლივია, თვით თამარი ყოველთვის ცდილობდა იმის აღნიშვნას, რომ მეფობა მას ღვთისა და მამის მიერ ჰქონდა ბოძებული.

თამარის მეფობის პირველი წლები მძიმე მოვლენებით აღინიშნა. ამ ხნის განმავლობაში მას მხარში ედგა და მისი უახლესი მრჩეველი იყო მამიდა — დედოფალი რუსუდანი, ხორასნის სულთნის ცოლყოფილი, დაქვრივების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული.

დიდებულთა ერთმა ნაწილმა, თამარის უერთგულესი მოხელეების, გიორგი III-ის მიერ 1177 წლის აჯანყების დროს გაწეული თანადგომისა და ერთგულებისათვის ამირსპასალარად აღზევებულ ყივჩაღთა რაზმის მეთაურის, ნაყივჩაღარ ყუბასარისა და აზნაურის ყმობიდან მსახურთუხუცესად დაწინაურებული აფრიდონის დამხობა მოითხოვა. თამარმა ვერ დაიცვა თავისი ერთგულნი. ყუბასარი მძიმე სენით იყო შეპყრობილი, მას წართმეოდა ენა, ხელი და ფეხი. თამარმა მას მხოლოდ ის სამფლობელოები ჩამოართვა, რაც ამირსპასალარობასთან დაკავშირებით ეკუთვნოდა, სხვა სამფლობელოები კი დაუტოვა. აფრიდონს ყველაფერი ჩამოართვეს.

შეთქმულებმა მეფეს თავისი პროგრამა წარუდგინეს ისინი ისანში — სამეფო სასახლის მახლობლად, ახალი საკანონმდებლო ორგანოს „კარავის“ დაარსებას მოითხოვდნენ, რომელსაც მეფისაგან დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები. მეფეს მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ. თამარმა მართებულად შეაფასა შეთქმულთა მოთხოვნა, მათი დაკმაყოფილება მეფის ძალაუფლების აღსასრულად მიიჩნია და ერთგულ ახლობლებთან მოთათბირების შემდეგ, ყუთლუ არსლანის დაპატიმრება ბრძანა. ამას უკუ რეაქცია მოჰყვა, შეთქმულებმა მეთაურის უვნებლობა მოითხოვეს და მეფის სასახლეს იერიშით დაემუქრნენ. თამარმა ჯეროვნად შეაფასა შექმნილი ვითარება. მან შეთქმულებთან მოსალაპარაკებლად ორი საპატიო მანდილოსანი — ქართლის ერისთავთ-ერისთავის — რატის დედა და სამძივართა დედა ხუაშაქ ცოქალი გააგზავნა.

საისტორიო წყაროები ძალიან ძუნწად მოგვითხრობენ შეთქმულების შედეგებზე. ჩანს, თამარმა თავის მოციქულებს საქმის გაჭიანურება დაავალა, იქნებ შეთქმულთა შორის შუღლის ჩამოგდებაც. ამიტომ მოხდა ის, რომ ორივე მხარე დათმობაზე წავიდა. გაფიცულებმა უვნებლობის პირობით მეფის ერთგულების ფიცი მიიღეს ახალი საკანონმდებლო ორგანო არ დაარსებულა, მაგრამ, ჩანს, გაფართოვდა მეფესთან არსებული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — დარბაზის უფლებები, მისი „თანადგომა და ერთიანობა“, ე. ი. დასტური, რაც აქამდე მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული, ამიერიდან სავალდებულოდ იქცა უმაღლესი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ამ აქტის მნიშვნელობაზე. ალბათ, უნდა დავეთანხმოთ ივ. ჯავახიშვილს, რომელიც ამ მოვლენის შედეგებს — მეფის ხელისუფლების შეზღუდვას წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, 1215 წელს ინგლისის მეფე იოანესა და ბარონებს შორის მიღებულ შეთანხმებას ადარებს და ეს ფაქტი მნიშვნელოვან პროგრესულ პოლიტიკურ მოვლენად მიიჩნია.

თამარმა ნელ-ნელა შესძლო პოზიციების განმტკიცება და თავის მომხრეთა წამოწევა, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ჯგუფი მაინც ძლიერი იყო. ისინი აქტიურად მოქმედებდნენ და მთელ იმედებს ახალგაზრდა მეფის მომავალ ქმარზე ამყარებდნენ. ამ ჯგუფმა თამარის ქმრად ვლადიმერ სუზდალის მთავრის — ანდრია ბოგოლუბსკის ძის იურის, ანუ გიორგის კანდიდატურა წამოაყენა. იგი მამის სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლების მიმტაცებელი ბიძისაგან გაძევებული, დედის ნათესავებთან, ყივჩაღებთან იყო შეხიზნული.

თამარი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო. დიდებულთა საკრებულოს თამარმა ასეთი სიტყვით მიმართა: „კაცნო, ვითარ ღირს არს შეტყუებული ეს, ქმნად? არ ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა მაცალეთ, ვიდრემდის განიცადეთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“. მაგრამ სასიძო ჩამოიყვანეს და „მათგან (ე. ი. მეფისგან) ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“ (1185 წ).

თამარის ქმრობის მოსურნე ბევრი სახელოვანი ჭაბუკი იყო მოსული საქართველოში: ბიზანტიის იმპერატორის ძმისწული ალექსი კომნენი, „ოვსთ მეფეთა შვილნი“, რომელთაგან ერთმა ვერ გადაიტანა უარი და უკან მიმავალი „მიიწია აღსასრულად“.

გიორგი რუსმა ყველა მოხიბლა თავისი გარეგნობით. ორი წელი თითქმის მშვიდობა სუფევდა, მაგრამ ჩანს, თამარი ძალებს იკრებდა და შეტევისათვის ემზადებოდა. ცოლ-ქმარს შორის თანხმობა ვერ დამყარდა. ამასობაში მეფე-ქმარს უკეთური ჩვევები გამოაჩნდა — სიმთვრალისადმი მიდრეკილება და სოდომური ქცევა, რაც თამარმა კარგად გამოიყენა გიორგისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ. მან დიდებულთა საკრებულოს მოახსენა, რომ „მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართავად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“. ისტორიკოსი დასძენს: „ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გურდემლი, მოითმენდა მხნე თამარ უკეთურებათა რუსისათა, გარნა სხუა ვეღარავინ მოითმენდა“.

დარბაზმა გიორგის საქართველოდან განდევნა დაადგინა. დიდად დასაჩუქრებული ქმარყოფილი კონსტანტინეპოლს გაისტუმრეს.

1188 წელს თამარმა მეორედ იქორწინა. თამარის მეორე ქმარი — დავით სოსლანი, ოსთა მეფის შვილი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის ნათესავი, საქართველოს სა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფო კარზე, რუსუდანთან იყო აღზრდილი. თამარის საქმროდ ის თვით თამარმა და მის მომხრეთა დასმა შეარჩია.

თამარი და დავითი თანხმობითა და ერთსულოვნად მართავდნენ ქვეყანას, მაგრამ თამარის მოწინააღმდეგენი არ ცხრებოდნენ. მათ კავშირი არ გაუწყვეტიათ განდევნილ იურისთან.

1191 წელს გიორგი რუსი საქართველოში შემოიჭრა. მას მრავალი დიდებული მიემხრო. აჯანყებულებმა დაიკავეს გეგუთის სასახლე და გიორგი რუსი სამეფო ტახტზე დასვეს. რუსი უფლისწული ბრმა იარაღი იყო მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდაზნაურების.

თამარმა აჯანყებულთა წინააღმდეგ დიდი ლაშქარი გაგზავნა დავით სოსლანისა და მხარგრძელთა სარდლობით. თამარის ქმრობისა და ტახტის მაძიებელი იური დამარცხდა. თამარმა ის კვლავ დასაჩუქრებული გააძევა საქართველოდან. მის მომხრე დიდებულებს კი ჩამოართვა მაღალი თანამდებობები და მათ ადგილას თავისი ერთგულები დანიშნა.

ორი წლის შემდეგ იურიმ კვლავ სცადა ბედის ჩარხის თავის სასარგებლოდ მოტრიალება. ამჯერად ის საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან მოადგა და კამბეჩოვანში (ქიზიყში) შემოიჭრა, მაგრამ ეს ცდა კიდევ უფრო უსახელოდ დამთავრდა. იგი ხორნაბუჯის ერისთავმა დაამარცხა და საბოლოოდ განდევნა საქართველოდან.

1191 წელს თამარს შეეძინა ვაჟი გიორგი „სწორი ძის ღმერთისა და უწოდა სახელი ახოვანის მის მამისა თვისისა გიორგი", რომელსაც მეორე სახელიც — ლაშა უწოდეს, „რომელ არს განმანათლებელი", ხოლო ერთი წლის შემდეგ შეეძინა ასული — რუსუდანი.

ტახტის მემკვიდრე გიორგი 1207 წელს მეუღლის, მეფე დავითის გარდაცვალების შემდეგ თამარმა თავის თანამოსაყდრედ აკურთხა.

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში



მეციტრუსეები — ლილი ჯინჭარაძე, ნელი ართმელიძე და გულნარა ჯინჭარაძე

ვ. ნადარეიშვილის ფოტო

# ლეღვა

ლეღვა. არის ასეთი სოფელი ქობულეთის რაიონში — ორსართულიანი სახლებით, ჩაისა და ციტრუსების, ტუნგოსა და დაფნის პლანტაციებით დამშვენებული.

შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს სოფელში. ეს ეტყობა ლეღველთა სახლსა და ეზოს, გომურსა და ნალიას, კოლმეურნეობის მინდორსა და პლანტაციას, ბოსტანსა და მეცხოველეობის ფერმას, გლეხის ოჯახის ბარაქასა და კოლმეურნეობის ეკონომიკას.

ყოველთვის ლამაზია ლეღვა, განსაკუთრებით კი შემოდგომაზე, როცა ციტრუსების პლანტაციაში ყვითელი ფერი იმძლავრებს...

კოლმეურნეობაში ფართოდ იკვლევს გზას შრომის ახალი ფორმები. ახლა აქ 19 საიჯარო ბრიგადაა. ზოგი მათგანი მალე არენდატორი გახდება.

მოწინავეთა შორის პირველ რიგში იმ ბრიგადას ასახელებენ, რომლის წევრებიც არიან ვახტანგ, ილია, მურად ბათუაძეები, დურსუნ და ამირან კაკაბაძეები, ძმები გურამ და რევაზ ლორთქიფანიძეები, თემურ ჯინჭარაძე. წლეულს მათ გეგმით 120 ტონა ციტრუსი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს, მაგრამ კარგად მოვლილი პლანტაციები 150 ტონაზე მეტს „გვპირდებიან".

ლეღვაში ოჯახური საიჯარო ბრიგადა ბევრია. ერთ-ერთ მათგანს მურად გიორგაძე ხელმძღვანელობს.

სოფელში კარგად იცნობენ ლილი და გულნარა ჯინჭარაძეებს, ნელი ართმელიძეს. ისინი ერთი ოჯახის წევრები არიან. საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ ლეღველ მეციტრუსეთა წარმატებაში.

ბარაქიანი შემოდგომა ჰქონდათ ლეღველებს. ხალისიანი ჟრიამული იდგა ციტრუსების პლანტაციებში, იკრიფებოდა ნაყოფი, იტვირთებოდა მანქანები და რესპუბლიკის მეციტრუსეთა ბარაქას ლეღველთა შრომითი ნობათიც უერთდებოდა.

# განათლების გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს

ნ. ბურბენიძე,
საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე.

განათლების გარდაქმნის გარდუვალობა დროით არის ნაკარნახევი. იგი გარდაქმნის მოთხოვნებზე საზოგადოების კანონზომიერი პასუხია. დღეს უკვე აშკარაა, რომ ისევე, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განათლების სისტემაშიც მომწიფდა რევოლუციური შემობრუნების, განახლების აუცილებლობა. საქმე ისაა, რომ წარსულში ჩვენი საზოგადოების განვითარების შემაფერხებელმა ფაქტორებმა ღრმა კვალი დაატყვეს სკოლას და მის დამამუხრუჭებელ ძალებად იქცნენ. სკოლაში ფეხი მოიკიდა შაბლონმა, უსახურმა ერთფეროვნებამ და შტამპმა, კონსერვატიზმმა და შეზღუდულობამ, რამაც განაპირობა კიდეც სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის რღვევა, ამ განუყოფელი პროცესის გათიშვა.

მდგომარეობას ვერ უშველა ვერც ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის 1984 წელს მიღებულმა რეფორმამ, რადგან, როგორც აღინიშნა კიდეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე, ქვეყანაში გარდაქმნის პერიოდში შეძენილი გამოცდილების პოზიციებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ არ იყო საკმარისი რეფორმით დასახული ღონისძიებანი, გამოიკვეთა მათი ძველი მეთოდებით რეალიზაციის მისწრაფება, რეფორმამ სკოლას საყოველთაოდ დანერგვისათვის დაუსახა ისეთი მიზნები (საშუალო საყოველთაო სწავლება, ექვსწლიანთა სწავლება, მოსწავლეთა მასობრივი პროფესიული მომზადება და სხვა), რომლებიც არ იყო არც მეცნიერულად დასაბუთებული და არც სათანადო რესურსებით განმტკიცებული. სკოლის განვითარების მთავარი გზაა მისი რეალიზმი, დემოკრატიზაცია, ჰუმანიზაცია.

ახლა ფართო საზოგადოების სამსჯავროზეა გამოტანილი სახალხო განათლების კონცეფციის, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სკოლისა და რაიონული (საქალაქო) საბჭოების დებულებების პროექტები. საზოგადოება უშუალო მონაწილეობას მიიღებს ამ დოკუმენტების საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. ეს საშუალებას მოგვცემს უზრუნველვყოთ სკოლის მართვა დემოკრატიულ საწყისებზე. ბუნებრივია სკოლის დემოკრატიზაციის პროცესი იოლად არ განხორციელდება. მრავალი წინააღმდეგობაა დასაძლევი ჩვენს მუშაობაში მკვიდრად ფეხმოკიდებული მართვის ავტორიტარული მეთოდის აღმოსაფხვრელად. ამიტომაც ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტად გავაფართოოთ პედაგოგიური კოლექტივების უფლებები, მივცეთ მათ მეტი დამოუკიდებლობის, ინიციატივის გამოვლენის, შემოქმედებითი შრომის საშუალება.

ფართოდ მკვიდრდება ყველა დონეზე სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელთა არჩევნები. სრული საჯაროობის პირობებში აირჩიეს კოლექტივებმა არაერთი უმაღლესი სასწავლებლის, სკოლისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელი და მათი მოადგილეები. შემუშავებულია განათლების ადგილობრივი და რესპუბლიკური ორგანოების მართვის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელთა არჩევითობის დებულებების პროექტი. ინერგება კონკურსი მასწავლებელთა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. საჯარო არჩევნებით განისაზღვრება სასწავლო დაწესებულებებისა და რაიონული (საქალაქო) საბჭოების შემადგენლობა. მათ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად მოწოდებული არიან ფართო საზოგადოების წარმომადგენლები, საშეფო და საბაზო ორგანიზაციების მუშაკები, მშობლები, მოსწავლეები.

გარდაქმნა ფორმითაც და შინაარსითაც სახალხო განათლების მმართველობის ორგანოებსაც შეეხო და ეს პროცესი კიდევ გრძელდება. განათლების სამი მონათესავე სისტემის გაერთიანებამ უთუოდ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს განათლების ერთიანი, უწყვეტი სისტემის ჩამოყალიბებასა და ყველა რგოლში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე.

განათლების რეორგანიზაციის გზაზე ძალზე მნიშვნელოვანია სკოლისა და სასწავლებლების სტრუქტურის, ფორმისა და შინაარსის მრავალმხრივობის უზრუნველყოფა, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ვარიანტულობის განხორციელება, უფერული და მოსაწყენი ერთსახოვნების შეცვლა საინტერესო მრავალფეროვნებით. ახლა აღარავინ ზღუდავს პედაგოგიურ კოლექტივს, მასწავლებელს სწავლებისა და აღზრდის ნებისმიერი ფორმის გამოყენებაში, მთავარია შედეგი.

პერსპექტიულად გვეჩვენება სწავლების სამსაფეხურიანი სისტემის განხორციელება, რომლის მესამე საფეხური ითვალისწინებს დიფერენცირებულობას, პროფილირებას, საგნების არჩევითობას მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით.

მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სწავლების გარდაქმნის ამოცანებიდან გამომდინარე, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ოპტიმალური შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების შერჩევის მიზნით რესპუბლიკის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლების ცალკეულ ჯგუფებში ექსპერიმენტული სწავლება მიმდინარეობს. ექსპერიმენტი მიზნად ისახავს ამ ორ რგოლში განათლების უწყვეტობის, სწავლების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფასა და მათ შემდგომ დაახლოებას.

გაფართოვდა დიფერენცირებული სწავლების ექსპერიმენტის არე.

საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით ინერგება სხვა მთელი რიგი სიახლეებიც. მიმდინარე სასწავლო წლიდან რესპუბლიკის სკოლები და სკოლა-ინტერნატები გადაყვანილნი არიან სემესტრულ სწავლებაზე. რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო რეჟიმი მიმდინარე სასწავლო წლიდან გაუთანაბრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რეჟიმს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ თითქმის გათანაბრდა მოზარდთა დატვირთვა და დასვენების რეჟიმიც, ცვლილებები შეეხო გადასაყვან გამოცდებსაც. ვარჩიეთ დემოკრატიულობის პრინციპით გადაგვეწყვიტა ეს საკითხი, იგი პედაგოგიურ კოლექტივებს მივანდეთ. გამოსაშვები გამოცდები კი სავალდებულოა ყველასთვის.

წლების განმავლობაში სამართლიანი საყვედურები გაისმის იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები გადატვირთულია, ამავე დროს ვერ პასუხობს ცოდნის თანამედროვე მოთხოვნათა დონეს. სწორედ ამან განაპირობა კონკურსის გამოცხადება საუკეთესო სახელმძღვანელოებზე. ამავე დროს გამოიცემა კონკურსში საუკეთესოდ მიჩნეული ერთი და იგივე საგნის რამდენიმე სახელმძღვანელო, მასწავლებელს კი მიეცემა საშუალება გამოიყენოს ისინი შეხედულებისამებრ.

სულ ახლახან სამინისტროს კოლეგიამ მიიღო რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ვრცელი, კომპლექსური პროგრამა. მის შემუ-

შავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, პრაქტიკოსმა მუშაკებმა. როგორც ცნობილია, მიმდინარე სასწავლო წლიდან გაიზარდა ქართული ენისა და ლიტერატურის საათების რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება შემოიღეს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებშიც. ცალკე საგნად გამოიყო საქართველოს ისტორია, გაიზარდა საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისათვის გათვალისწინებული საათებიც. დაწყებულია მუშაობა საიმისოდ, რომ რესპუბლიკის აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ სკოლებში ვასწავლოთ, როგორც სავალდებულო, ქართული ენა და ლიტერატურა.

სასკოლო ცხოვრების ერთი მთავარი საკითხია მოსწავლეთა შრომითი აღზრდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა ახლებურად ჩამოაყალიბა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის როლი ამ საკითხში. სკოლისათვის არაა სავალდებულო მოსწავლეთა პროფესიული მომზადება, იგი მთლიანად დაეკისრა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს. სკოლის ამოცანა მოსწავლეთა შრომითი აღზრდაა. ამ თვალსაზრისით უკვე მიმდინარე წელს შევიტანეთ კორექტივები სასწავლო გეგმებში, შემცირდა საათები არა შრომით აღზრდაში, არამედ პროფესიულ მომზადებაში. ეს კურსი შენარჩუნებული იქნება შემდეგშიც.

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია — ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები. ბევრი რამ კეთდება საიმისოდ, რომ გავაუმჯობესოთ მათი საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობები, შევუქმნათ მშობლიური, ოჯახური გარემო, ერთგვარად შევუმსუბუქოთ ცხოვრების მძიმე ტრავმა. ჩვენ ახლა სერიოზულად ვფიქრობთ ოჯახური საბავშვო სახლების შექმნაზე.

სახალხო განათლების გარდაქმნის კონცეფციებში აისახა სკოლამდელი აღზრდის გარდაქმნის ამოცანებიც და ეს შემთხვევითი როდია. ახლა ჩვენი მუშაობა მიმართულია საიმისოდ, რომ საბავშვო ბაღი გადავაქციოთ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებად, გავზარდოთ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჩაბმა საბავშვო ბაღებში და უზრუნველვყოთ მათი უკეთ მომზადება სწავლების პირველი საფეხურისათვის.

ამოცანები რთული და საპასუხისმგებლოა, მათი გადაწყვეტის გზები — ასევე რთული და წინააღმდეგობრივი, მაგრამ სახალხო განათლების გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს, რადგან იგი საზოგადოების განვითარების რეალური გზაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინი მუზეუმი



მერი ლაბარტყავა მოსწავლეებთან

წელს, მაისში დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ სულხან საბას ქუჩაზე, № 4-ში, დამსახურებული მასწავლებლის, თბილისის 84-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტის მერი ლაბარტყავას ბინაში, სადაც მან სიურპრიზი მოუმზადა იმათ, ვინც ეთაყვანება კ. გამსახურდიას შემოქმედებას. ქალბატონმა მერიმ თავისი ერთოთახიანი ბინა დიდოსტატის მუზეუმად აქცია და მისი საზეიმოდ გახსნა მწერლის დაბადების 95 წლისთავს მიუძღვნა.

განსაკუთრებით მოსწავლეთა სიმრავლე იგრძნობოდა, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მწერლებს. და აი, ისინიც: გიორგი ნატროშვილი, სერგი ჭილაია, ლევან სანიკიძე, გურამ კანკავა, პოეტი ნოდარ ჯალაღონია, მწერლის ძმისწული პროფესორი სვიმონ გამსახურდია და კიდევ, კონსტანტინეს სოფლიდან სკოლის წარმომადგენლები — ჯემალ გრიგოლია (სკოლის დირექტორი), თევდორე თელია (პედაგოგი, პერსონალური პენსიონერი), სახალხო განათლების მუშაკები, მოსწავლეები... „მუზეუმში" შესასვლელად ლენტი სერგი ჭილაიამ გაჭრა და სტუმრებს წაუძღვა. ამ პატარა ოთახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გამოფენილი ექსპონატები გვიამბობენ კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების შესახებ: „დავბადებულვარ მაისის მშვენიერ დღეს, ძველი აზნაურის ოჯახში. როგორც ამას წინათ დადგინდა, დავბადებულვარ 1893 წელს...“

კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მდიდარი ფოტომასალა ერთი წლის განმავლობაში შეაგროვა ქალბატონმა მერი ლაბარტყავამ.

აი, მდინარე ზანას ნაპირას მდებარე მამისეული სახლის მაკეტი, პორტრეტები საოჯახო ალბომიდან. ევროპული ქალაქები: მიუნჰენი, ვენა, პარიზი, ბაგინეთის არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით მისი საინტერესო მოგზაურობა. შეხვედრები სიმონ ჯანაშიასთან, ნიკო ნიკოლაძესთან, ლეო ქიაჩელთან, კორნელი კეკელიძესთან, ლადო გუდიაშვილთან და იქვე ბატონ კონსტანტინეს გამონათქვამები:

მამა სიმონი — „მე მან ორი რამ შემათვისებინა, — შიშიანობის წინააღმდეგ ბრძოლა და შრომისადმი სიყვარული. დედა ელისაბედი — „ფრიად მორწმუნე იყო... „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა“. ძმები — ალექსანდრე, ვიქტორ, ვანო, დაი სოფიო. შემდგომ ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია. სათაყვანებელი პედაგოგები: „იოსებ ოცხელმა სილოვან ხუნდაძემ, გერასიმე ცაგარეიშვილმა, სამსონ ყიფიანმა, იასონ ნიკოლაიშვილმა მამობრივი მზრუნველობით გამიტფეს დაზაფრულებული გული“.

და ბოლოს: ბატონ კონსტანტინეს ხმა: ავტობიოგრაფიულ ნოველას „ლანდებთან ლაციცს“ კითხულობს. ეს ხმა, ეს სურათები, ეს პატარა ოთახი თვალნათლივ გვახსენებენ იმ ადამიანს, რომელიც ჩვენი თანამედროვე იყო და უკვდავი გახდა ყველასათვის.

მერი მასწავლებელი შთაგონებით უამბობს მწერლის შესახებ სტუმრებს და თავის ყოფილ მოსწავლეებს, რომელთაც ახსოვთ სამოცდაათიანი წლების მიწურულს კონსტანტინეს სტუმრობა მათ სკოლაში... ის დაუვიწყარი საღამო, ის დაუვიწყარი წუთები...

— ის დღე იყო ჩემთვის ყველაზე ბედნიერი, — იგონებს ქალბატონი მერი, — სწორედ მაშინ ჩავიფიქრე განმეხორციელებინა ეს საქმე.

მადლიერების გრძნობით ემშვიდობებოდნენ ქალბატონ მერის მინი მუზეუმით მოხიბლულნი.

ბელა ზაუტაშვილი

პრობლემა

# როგორი ახალი წელი გვინდა?!

რადგან გარდაქმნის ეპოქაში ვცხოვრობთ, გვინდა ახალი წლიდან შეიცვალოს ჩვენი ცხოვრება, უფრო ხალისიანი, სიძნელეებისაგან თავისუფალი გახდეს, რომ არც ოჯახში გაგვიჭირდეს შრომა და არც სამსახურში.

ადრეც გვინატრია და კვლავაც ვნატრობთ გვემატოს საბავშვო ბაღები ქალაქადაც და სოფლადაც, რომ დედებს საშუალება ჰქონდეთ იმუშაონ; სკოლები საობოლოოდ დაემსგავსოს ისეთ სკოლებს, როგორიც ჰქონდათ ადრე ჩვენს დედებს — როცა იგრძნობოდა პატივისცემა მასწავლებლისადმი და მოსწავლისადმი, როცა მასწავლებელს ჭეშმარიტი ცოდნა ჰქონდა და მოსწავლეები ხარბად ეწაფებოდნენ მას. ეს ის დრო იყო, როცა ყვავილის მირთმევაც კი ერიდებოდათ მასწავლებლისათვის.

ჩვენი ნატვრაა ახალაშენებულ ბინებში შეიძლებოდეს ცხოვრება, რომ არ სჭირდებოდეს მათ რემონტი და გადაკეთება. თუ პატიოსან ცხოვრებას გვიქადაგებენ, აბა რით უნდა გავაკეთოთ ბინის რემონტი?

და კიდევ, გვინდა ახალი წლიდან აღარ ვიმტვრევდეთ თავს იმის ფიქრით, თუ სად ვიშოვოთ შესაფერისი ტანსაცმელი თუ საჭირო სანოვაგე? არც ის გვინდა, ვწყდებოდეთ წელში რიგებში დგომისაგან. ეს ხომ სასჯელია, დაუმსახურებელი სასჯელი!

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველები.

# რიგში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდია!

დგას ქალი და ითვლის: ერთი წავიდა, დარჩა ჩვიდმეტი. თითოს ათი წუთი მაინც სჭირდება, სანამ კომბოსტოს აუწონიან, მწვანილსაც აურჩევენ, პამიდორს და კიტრს სათითაოდ გადასინჯავენ და ჩაუყრიან რკინის ჯამში... ათჯერ შვიდმეტი — ეს იქნება 170 წუთი, ე. ი.... ბავშვი იტირებს ჩემს მისვლამდე. ბაღის კართან მასწავლებელი უხალისოდ დამიხვდება და უკმაყოფილოდ ჩამიდებს ხელში ჩემი შვილის პატარა, გაყინულ ხელს... წამოვალთ მე და ჩემი სამი წლის გოგონა, მე მძიმე ჩანთას ხელს ვერ მოვუნაცვლებ, რომ შვილი არ შევაწუხო. დავდგებით ავტობუსის გაჩერებასთან და დავიწყებთ ლოდინს. თითქოს ახლა უფრო მშვიდად ვარ, ბავშვი და მე ერთად ვდგავართ და იმიტომ... ავტობუსიც, როდის, როდის გამოჩნდება, შემოგვაფრქვევს შავ კვამლს და მოგვწამლავს. გაჩერებასთან ვერასოდეს ვერ გაიგებ, ვინ არის პირველი და ვინ — ბოლო, ყველანი ჯგუფებად დგანან, ერთმანეთს არ აცლიან ფეხის ადგმას საფეხურზე. თუ ვინმემ იფიქრა და გზა დამითმო, წინა კარს მივაწყდები, ცალი ხელით გოგონას ავწევ, მეც ხელმოუკიდებელი ავდივარ. ახლა ძალა მემატება იმის გახსენებაზე, რომ უკვე სამშვიდობოს ვარ, სახლთან ჩამოვალთ და ჩვენს ბუდეში უმალ შევალთ. — მე დაღლილი, ფეხზე დგომისაგან დასუსტებული, გოგონა — ნამტირალევი, ჩემი „დაკარგვით“ შეშინებული. ღამით ვიძინებთ იმ იმედით, რომ მეორე დღეს რაღაც შეიცვლება, უფრო მხიარულები დავბრუნდებით შინ.

ეს არის ჩვეულებრივი მომსახურე ქალის მონოლოგი, რომელიც მას შემდეგ, რაც ოჯახს მოეკიდა და სამსახურის ტვირთიც იწვნია, ინერციით დადის, სახლიდან — სამსახურში, სამსახურიდან — შინ, ეს იმიტომ, რომ ძალ-ღონეს აცლის, ნერვებს უწეწავს და შრომის უნარს უკარგავს ყველგან რიგში დგომა: — რძის თუ პურის ყიდვისას, აფთიაქში წამლის შეძენისას, ჯიხურთან გაზეთის აღებისას, ავტობუსის გაჩერებასთან, ფეხსაცმლის მაღაზიაში... ეს



ჟურ. სსრ კ. მარქსის

მაშინ, როცა ჩვეულებრივი ყოველდღიური სახმარი ნივთები სჭირდება. მაგრამ თუ დეფიციტური სამრეწველო საქონელი ან სურსათი გამოჩნდება სადმე, მაშინ ხომ საათები უნდა დაიკარგოს.

და ასე, ჩვენ მივეჩვიეთ რიგებს, ურიგოდ ცხოვრება ვერც წარმოგვიდგენია. თუ ურიგოდ რაიმე იყიდება, ახლოსაც არ მივდივართ, რადგან გვგონია, რომ ის არ ივარგებს, ულაზათო ან უგემურია. თუ რიგს დავინახავთ, გვიხარია, ალბათ, დახლზე კარგი რამ აწყვია და იმიტომ.

რიგში დაიჩაგრა ადამიანი, რიგმა იერ-სახე, შინაგანი განწყობა და რწმენა შეუცვალა მას. ეს ბოროტება ანუ სოციალური მტერი მოგვერია და დავმორჩილდით.

თითქოს გარდაქმნა დავიწყეთ, ბევრ რამეში მივაღწიეთ წესრიგს, ყაირათიანობას, რიგებს კი კვლავ ყურს ვუყრუებთ, თითქოს ვფიქრობთ, რომ დაე, იყოს, როგორმე გავუძლებთ.

არა და არა. რა მოსდევს ასეთ გაძლებას! ჯანმრთელობის დაქვეითება, ნაადრევი სიბერე, წარმოება-დაწესებულების მოცდენა, შვილების აღსაზრდელი დროის დაკარგვა, საკუთარი თავისათვის მოსახმარი დროის მთლად უარყოფა და ადამიანური ყოფის გაუკულმართება.

განა ძნელია ბრძოლა გამოვუცხადოთ მას? მომხმარებლებმა ყველამ ერთად უნდა მოვითხოვოთ, რომ მაღაზიის გამგემ კეთილი ინებოს და როცა საქონელზე მოთხოვნილება იზრდება, ერთ გამყიდველს მეორე და მესამეც მიაშველოს, ისინი, ზოგჯერ უსაქმოდ რომ დგანან და ვაჭრობის აურზაურს სეირივით შესცქერიან.

ჩემის აზრით, არცერთ მაღაზიაში, არცერთ დაწესებულებაში არ უნდა გავაჩეროთ ხელმძღვანელი, რომელსაც არ სურს თავის შეწუხება და ახალი საშუალებების გამოძებნა რიგებთან საბრძოლველად.

ზოგიერთი წარმოება უკეთ მუშაობს, გეგმებს ასრულებს, მუშებისათვის ყველა პირობას ქმნის, მაღაზიაც გახსნა პროდუქტებისა და საქონლის შესაძენად, რომ აქაურმა თანამშრომელმა ქალაქში რაიმეს ყიდვისას დრო არ დაკარგოს. მაგრამ რა ხდება? თუ ამ წარმოების სავაჭრო ობიექტშიც რიგებია, თუ მუშები აქაც ტოვებენ სამუშაოს, გამოდიან, ან ერთმანეთს ცვლიან, რა თქმა უნდა, იკარგება ძვირფასი დრო, ამიტომ საჭიროა დაფიქრდნენ ფაბრიკა-ქარხნების მესვეურნი, იქნებ სხვანაირად მოაწყონ თავიანთი ვაჭრობა!

თვითმომსახურებისა და უგამყიდველო ვაჭრობის ობიექტებმა მეტი პოპულარობა მოიპოვა სწორედ იმიტომ, რომ აქ ნაკლებად გროვდება ხალხი, მეტი თავისუფლებაა, თანაც პროდუქტს მყიდველი უფრო ახლოს ხედავს, და თუ არ მოეწონება, არ აიღებს. ვამრავლოთ ასეთი მომსახურება, როგორც რიგების წინააღმდეგ ბრძოლის ერთერთი საიმედო საშუალება.

ზოგჯერ შეიძლება არაფრის შეძენას არ ვაპირებდეთ, რიგში დგომა იმ დღეს არ გვიწევდეს, მაგრამ ერთად შეჯგუფულ ხალხს რომ დავინახავთ, მძიმე ჩანთისგან ქალების დაქანებულ მხრებს რომ შევნიშნავთ, გუნება გვიფუჭდება, ცუდ ხასიათზე ვდგებით, თვალს ვარიდებთ იქაურობას და ახლა სხვა მხარეს ვიხედებით, მაგრამ მალე სხვა მხარესაც მსგავს სურათს ვაწყდებით.

არ გავიხედავ პიკის საათებში მაღაზიისკენ, მე პირადად შაბათ დილას შევიძენ ყველაფერს, მანამ კი როგორმე იოლად გავალ, — ვფიქრობ და უსიამოდ ვჩერდები შინ წასასვლელად ისევ ავტობუსის რიგში.

ძვირფასო მკითხველო! გულს ნუ გაიტეხ. ბრძოლა რიგების წინააღმდეგ ჩვენმა საზოგადოებამ უკვე დაიწყო. უახლოეს ნომერში კი მოგითხრობთ, თუ რას აპირებენ რესპუბლიკის და ქალაქის ვაჭრობის დარგის ხელმძღვანელები ამ ბოროტების ასალაგმავად.

ლია კაკაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტატისტიკა ქართველ მეცნიერ ქალთა შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 35-ე მუხლში აღნიშნულია: „სსრ კავშირში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ. ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცების თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომასა და მის ანაზღაურებაში, სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში.“

საქართველოში ქალი ოდითგანვე დიდი პატივისცემით იყო გარემოსილი. ქართველი ქალი ყოველთვის მამაკაცის გვერდით იდგა ჭირსა თუ ლხინში. ასეაა დღესაც — საზოგადოების განახლებადი პროცესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში. ქართველი ქალები აქტიურად მოღვაწეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და კერძოდ, მეცნიერებაშიც.

ქართველ ქალთა სწრაფვას მეცნიერული მოღვაწეობისაკენ ნათლად ადასტურებს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები: თუ 1950 წელს საქართველოს სსრ-ში იყო ოცამდე მეცნიერებათა დოქტორი ქალი და 485 მეცნიერებათა კანდიდატი, 1988 წლის დასაწყისისათვის მათმა რიცხვმა შეადგინა შესაბამისად 220 და 3753, ხოლო მეცნიერ მუშაკ ქალთა საერთო რიცხვნობამ (უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო-პედაგოგიური პერსონალის ჩათვლით) 12700-ს გადააჭარბა.

საქართველოს მე-3 ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მქონე ქალების აბსოლუტური რიცხვით, ხოლო შეფარდებითი მაჩვენებლით (ყოველ 10 ათას ქალზე ან ყოველ 1000 მეცნიერ მუშაკ ქალზე გაანგარიშებით) — პირველი ადგილი.

ამეტყველებული სტატისტიკა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში უფრო მეტი მეცნიერებათა დოქტორი ქალია, ვიდრე 5 მოკავშირე რესპუბლიკაში ერთად აღებული (ლიტვის სსრ, ესტონეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ). და ეს იმ დროს, როდესაც ამ რესპუბლიკებში ქალთა მთლიანი რიცხვი 4-ჯერ მეტია, ვიდრე საქართველოში (შესაბამისად, 9,5 მლნ. და 2,8 მლნ).

თუ თვალს მივადევნებთ სტატისტიკურ მონაცემებს, ვიხილავთ, რომ 1970 წლიდან მოყოლებული სისტემატურად იზრდება მეცნიერ მუშაკ ქალთა როგორც აბსოლუტური რიცხვი, ასევე მათი ხვედრითი წილი მეცნიერ მუშაკთა მთლიან რიცხოვნობაში.

1970 წელს მეცნიერ მუშაკი ქალების ხვედრითი წილი მეცნიერ მუშაკთა მთლიან რიცხოვნობაში შეადგენდა 39,7 პროცენტს, 1988 წლის დასაწყისში შეადგინა 44,7 პროცენტი. ეს მაჩვენებელი ბევრად მაღალია ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე, რომელიც შეადგენს 39 პროცენტს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებათა დოქტორებიდან ყოველი მე-7 ქალია, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატებიდან — ყოველი მესამე. გარკვეულ ინტერესს იწვევს ამ მაჩვენებლების შედარება ანალოგიურ საკავშირო მაჩვენებლებთან: საქართველოს სსრ-ში მეცნიერებათა დოქტორი ქალების ხვედრითი წილი მეცნიერ მუშაკი ქალების მთლიან რიცხოვნობაში შეადგენს 1,7 პროცენტს, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატი ქალებისა — 29,5 პროცენტს, ანალოგიური საკავშირო მაჩვენებლები კი შედარებით დაბალია და შეადგენს შესაბამისად 1,1 და 22,5 პროცენტს.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ ქალთა ელიტას წარმოადგენს 9 აკადემიკოსი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და 109 პროფესორი; მათთან ერთად მოღვაწეობენ 879 დოცენტი, 719 უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და 197 უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი და ასისტენტი. ცნობილ მამაკაც მეცნიერებს ტოლს არ უდებენ სახელოვანი ქართველი მეცნიერი ქალები (აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები): მზია ანდრონიკაშვილი, თამარ დეკანოსიძე, ნათელა ვასაძე, ქეთევან ლომთათიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ელენე მეტრეველი, ეთერ ქემერტელიძე, თინათინ ყაუხჩიშვილი, ნინო ჯავახიშვილი.

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკი ქალების უმეტესობა, ანუ 63,4 პროცენტი მოღვაწეობს სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში, ყოველი მესამე 32,1 პროცენტი — უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო მცირე ნაწილი — 4,5 პროცენტი — სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; ამასთანავე, მეცნიერებათა დოქტორი ქალების საერთო რიცხვიდან ნახევარზე მეტი (63,7 პროცენტი) მუშაობს სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში — 28,6 პროცენტი და სხვა ორგანიზაციებში — 7,7 პროცენტი; დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა მეცნიერებათა კანდიდატი ქალების დასაქმების მიხედვითაც. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერი მუშაკი ქალების უმეტესობას ჯერ არა აქვს სამეცნიერო ხარისხი; მათი ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში. ამ მაჩვენებლით ბევრად უფრო კარგი მდგომარეობაა მეცნიერი მუშაკი მამაკაცების მხრივ, რომელთა შორის ნახევარზე მეტს აქვს სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 43,1 პროცენტს — არა, მაგრამ ეს ვითარება გარკვეული აზრით შეიძლება „ვაპატიოთ“ ქალებს, რადგან ამის ობიექტური მიზეზები არსებობს: ქალი — მეცნიერი ხომ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად დიდ დროს ხარჯავს ოჯახის მოვლაზე, ბავშვების აღზრდაზე და ა. შ. ქალების ჩამორჩენა დისერტაციების მომზადებასა და მათ დაცვაში უფრო დროის უკმარისობის ბრალია.

თანამედროვე პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა საშუალებას იძლევა გამოთავისუფლდეს ქალი ზოგიერთი სამუშაოსაგან, შეუმსუბუქდეს სამსახურებრივი თუ საოჯახო საქმეები. მას ეს საშუალებას მისცემს მეტი დრო დაუთმოს მისთვის საინტერესო და საჭირო საქმიანობას — სამეცნიერო მოღვაწეობას.

სიმონ გელაშვილი,
საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემოსული ფოსტა

## მამებო!

ძვირფასო რედაქცია, მე და ჩემი და დიდი ყურადღებით ვკითხულობთ თქვენს ჟურნალს, სადაც ხშირად წერია დანგრეულ ოჯახებზე, ისეთ ოჯახებზე, საწყალი ბავშვები უმამოდ რომ იზრდებიან. როგორ გვინდა, მიტოვებული ბავშვების მამებმა ხშირად წაიკითხონ ასეთი წერილები და იქნებ შეიცოდონ შვილები.

ჩვენ გვყავს დედაც და მამაც, მაგრამ მამა აღარ ფიქრობს ოჯახზე, თავის ქალიშვილებზე. მამა აღარ მოდის ჩვენთან, მან დაგვტოვა შუა გზაზე, თუ იცით რისთვის, ვიღაც ცუდი ყოფაქცევის ქალისთვის.

გაკვეთილებზე რომ ვზივართ, სულ მამაზე ვფიქრობთ. სწავლა გვიყვარს, მაგრამ არეულმა ცხოვრებამ ისე დაგვტანჯა, ხუთოსნებს ახლა ოთხებიც გვაქვს.

მამა ძალიან გვენატრება, გვინდა გვერდში გვყავდეს, გვენატრება მისი ალერსი, მისი ცკბილი სიტყვა. ბოლო დროს თუ მოვიდოდა, გვეჩხუბებოდა, გვიყვიროდა. ჩვენ ვტიროდით, ღამეებს ვათევდით, თან გვრცხვენოდა ამხანაგებთან, მამამ რომ ასე გაგვიმეტა.

ერთხელ მამა მაგრად წაგვეჩხუბა. თუ იცით რისთვის? წერილი მივწერეთ და ვთხოვეთ უბრალო, იაფფასიანი ტელევიზორი ეყიდა. რა ქნას დედამ, მცირე ხელფასი ვერ გვყოფნის, მამას კი კარგი შემოსავალი აქვს. მამა შუაღამეზე მოვიდა, წამოგვყარა ლოგინებიდან და დაგვიწყო ჩხუბი, რატომ მომწერეთ წერილიო...

ჩვენ მთელი ღამე არ გვიძინია, ვტიროდით, მეორე დღეს სკოლაშიც აღარ წავედით, სიცოცხლეც აღარ გვინდოდა, ვფიქრობდით თავი მოგვეკლა, მაგრამ დედა შეგვეცოდა.

ჩვენ ვხედავთ, რომ მამას „ახალი ქალი" არასდროს არ ტირის, არც შვილებზე დარდობს (შვილები არ ჰყავს), სულ კარგ ხასიათზეა, ამიტომ იქ მხიარულებაა, ჩვენთან კი გაუთავებელი წუხილია, გაჭირვებაა, ეკონომიკურადაც ვიტანჯებით დედის ხელფასიდან ხელფასამდე.

მამებო! ნუ დატოვებთ შვილებს, იცოდეთ, რომ მათ დედაც უნდათ და მამაც.

ძვირფასო რედაქცია! ჩვენ არ ვწერთ გვარსა და სახელს, იმიტომ, რომ გვრცხვენია ასეთი მამა რომ გვყავს. მაგრამ ძალიან გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს წერილი, შეიძლება მიტოვებული ბავშვების მამებმა წაიკითხონ, მიხვდნენ თავიანთ დიდ დანაშაულს და იქნებ შემცირდეს ასეთი შემთხვევები.

ნ. ნ.

## მშობლებო!

დავამთავრე თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლა, ვარ 17 წლის, მაგრამ ცხოვრებაზე ხელი მაქვს ჩაქნეული და ზოგჯერ სიკვდილსაც ვნატრობ. ამჟამად არ ვსწავლობ, არც ვმუშაობ, სახლში უსაქმოდ ვზივარ.

სკოლა ისე დავამთავრე, არც დედამ და არც მამამ ჩემი კლასის კარები არ იცოდნენ. ახლაც მიკრძალავენ სწავლა გავაგრძელო. მათი აზრით, ვინც უმაღლესში სწავლობს ან მუშაობს, ყველა „ცუდ გზაზე" დადის.

როგორ მოვიქცე, სად წავიდე, ვის ვთხოვო დახმარება, ვინ შეაგნებინებს ჩემს დედ-მამას დღევანდელი ცხოვრების არსს, ისინი ხომ ძალიან ჩამორჩენილად აზროვნებენ.

წარმოიდგინეთ, ამხანაგის დაბადების დღე არ ვიცი, კლასთან ერთად ექსკურსიებზე არსად არ ვყოფილვარ, არც კინოთეატრებში დავდივარ. მშობლებს მხოლოდ ის უნდათ, სახლში ვიჯდე და ოჯახს ვემსახურო...

მშობლების ნამდვილი შვილი რომ არ ვიყო, ალბათ ეჭვები დამახრჩობდა. ჩვენს სახლში მეგობრები არ მოდიან, თუ ვინმე შოვა დედაც და მამაც ყველა კართან სმენად გადაიქცევიან.

ახლა სკოლაში ცნობას მთხოვენ, სად ვმუშაობ, რას ვაკეთებ, ოჯახში ამაზე არავინ ფიქრობს, მე კი ვზივარ და ვტირი, დღე არ გავა, უმიზეზოდ რაიმეზე არ მეჩხუბონ. მე მშურს ამხანაგების და მათი მშობლების, ზედ რომ ჰყვებიან შვილებს, ასეთ ყურადღებას და განებივრებას როგორ მოვითხოვ, მინიმუმითაც ვკმაყოფილდები. თუ ვიტყვი, რომ ვიმუშავებ ან ინსტიტუტში შესასვლელად მოვემზადები, ყვირილით მიპასუხებენ — ქუჩის ბავშვი ხომ არა ხარ, სახლში უნდა იჯდე და ბედს ელოდოო. ახალგაზრდები, რომლებიც სწავლობენ ან მუშაობენ ქუჩის ბავშვები ყოფილან!..

ჩემს ადგილას სხვა გოგონა შეიძლება სხვანაირად გაზრდილიყო, მე სულაც არ ვფიქრობ ცუდი გზით ვეძებო გამოსავალი, პირიქით, მინდა კეთილსინდისიერად ვიცხოვრო და ვიშრომო. სანამ სკოლას დავამთავრებდი, სხვაგვარად ვხატავდი ცხოვრებას, მაგრამ წამიხდა ოცნება, გავხდი გულჩათხრობილი, დავდივარ და გულში ვიკლავ ტკივილებს, მშობლებთან შეუთავსებლობის ტკივილებს.

გთხოვთ ეს წერილი უცვლელად დაბეჭდოთ. მსურს გამომეხმაურონ თანატოლები, წარმოიდგინონ თავი ჩემს ადგილას, თუ შეიძლება დღევანდელ დროში მშობლებმა შვილი ცხრაკლიტულში ჩაკეტონ იმის შიშით რომ ძალიან წესიერი იყოს და კარგად გათხოვდეს, ამიტომ არც ისწავლოს, არც იმუშაოს, არც ხალხში გაერიოს, იმას კი აღარ ფიქრობენ მათმა ქალიშვილმა სად გაიცნოს საქმრო?

მაინტერესებს ყველას აზრი, იქნებ მე არა ვარ მართალი მშობლების წინაშე?

ლ. ქ.

## რძლებო!

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დავქორწინდით მე და ჩემი მეუღლე. შეგვეძინა სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალი. უფროსი ვაჟი ცალკე ცხოვრობს, ჰყავს კარგი ცოლ-შვილი. ქალიშვილიც გავათხოვე და მეუღლესთან ერთად ზრდის შვილებს. უმცროს ვაჟს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, ისინი ჩვენთან ცხოვრობენ და ბავშვები მე გავზარდე. მაგრამ რძალი რატომღაც ყოველთვის უკმაყოფილოა, ჩვენთან ლაპარაკი არ უნდა, ჩემი დამზადებული სადილი არ მოსწონს, არც ჩემი გარეცხილი და გაუთოებული. წლების მანძილზე რძლის მოქმედებამ ნაყოფი გამოიღო, შვილსაც შეაძულა ჩვენი თავი. მასაც აღარ უნდა ჩვენთან ურთიერთობა, თითქმის მშობლებადაც აღარ გვთვლის, აღარ გველაპარაკება. უკვე ბევრჯერ გვატკინა გული საყვედურებით, რატომ ძვირფასი სასახლე არ ავუშენეთ, რატომ ძვირფასეულობა არ დავუტოვეთ და ვინ მოთვლის რამდენი პრეტენზია წამოგვიყენა.

ჩვენი ალალი შრომით მოპოვებული ცხოვრება ახლანდელ შვილებს არაფრად მიაჩნიათ. იმასაც არაფრად თვლიან, რომ ჯანმრთელები გავზარდეთ, გზაზე დავაყენეთ, ვასწავლეთ, შესაფერისი სამსახურები აქვთ.

ჩემი შვილები თითით საჩვენებელი იყვნენ სკოლაში, ინსტიტუტში, სამსახურში. მაშინ კარგი მშობლები ვიყავით. ახლა აღარაფერს წარმოვადგენთ, რით დავიმსახურეთ ასეთი სიძულვილი?

რედაქციას ვთხოვთ, რაც შეიძლება მეტი დაიწეროს ასეთ თემებზე, რათა ახალგაზრდა დედებმა, რძლებმა, შეიგნონ თავიანთი მოვალეობა, უფროსებისადმი პატივისცემა — თვითონაც ხომ მალე გახდებიან დიდი შვილების მშობლები...

ნ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდების სპეციალისტთა თავყრილობა

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ეკონომიკური რესპუბლიკური ურთიერთდახმარებისა და თანამეგობრობის საბჭოში შემავალი ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბნენ მოსკოვში მოდისა და ჩაცმის კულტურის თაობაზე. აქ თავისი კოლექციები წარმოადგინეს უნგრეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, კუბის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მოდელების სახლებმა. ამ თავყრილობებს დიდი ხნის ისტორია აქვს. სოციალისტური ქვეყნების მოდების სპეციალისტები პირველად ერთმანეთს 1949 წ შეხვდნენ პრაღაში. მაშინ ეს შეხვედრები მოდების კონგრესებად იწოდებოდა და იქიდან მოყოლებული ისინი ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს რომელიმე ქვეყნის დედაქალაქში.

ეს შეხვედრები მიზნად ისახავს მოდის მიმართულებისა და მისი პერსპექტიული განვითარების გზების ერთობლივ შემუშავებას. ამავე დროს ეს საქმიანი, შემოქმედებითი კონტაქტები ხელს უწყობს ამ ქვეყნების ახალი იდეების გაცნობასა და აზრთა ურთიერთგაზიარებას, ამდიდრებს და ამაღლებს მხატვრების პროფესიონალურ ოსტატობას, ქმნის შემოქმედებითი შეჯიბრების ჯანსაღ ატმოსფეროს და საშუალებას აძლევს მათ თავისი ქვეყნის ეროვნული ხასიათი და ტრადიციები გამოავლინონ თავის შემოქმედებაში და ამით გარკვეული წვლილი შეიტანონ საერთაშორისო მოდის მიმდინარეობაში.

ამჯერად, მოდების სპეციალისტებს, რიგით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მასპინძლობდა. ერთმანეთს ცვლიდა პოეტურობითა და ქალურობით გამორჩეული „რეტროს“ სტილში გადაწყვეტილი უნგრული კოლექცია და ჩეხი მხატვრების რაციონალური და ამავე დროს ფერადოვანი ნამუშევრები, ჩვეული ზომიერებითა და პრაქტიკულობით გააზრებული გერმანელი მემოდელეების კოლექცია და თამამი, ავანგარდული იდეებით შექმნილი პოლონელ მხატვართა მოდელები და სხვა. განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა საბჭოთა კოლექციამ, რომელიც ფართო ასორტიმენტითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თათბირზე წარმოდგენილი თითოეული კოლექცია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ხელწერას ატარებდა, მათი ერთობლივი ტენდენცია მოდაში ტანსაცმლის რამდენიმე სილუეტის, ფორმისა და სიგრძის თანაარსებობაში გამოიხატა. და კიდევ ერთი რამ, რაც აერთიანებდა და განსაკუთრებულ ხაზს უსვამდა კოლექციების ერთობლიობას, ეს იყო წარმოდგენილი მოდელების უაღრესად ქალური ხასიათი, რასაც გარეკანზე მოთავსებული ილუსტრაციები ადასტურებს.

ლელი ხვედელიძე

# ნივრის ფესტივალი

კალიფორნიის შტატში, სან-ფრანცისკოსა და მონტერეის ნახევარკუნძულის შუა გზაზე მდებარეობს პატარა ქალაქი ჰილროი, რომლის 21 ათასი მცხოვრები, ძირითადად, სოფლის მეურნეობას მისდევს.

1979 წლის აგვისტოში აქ პირველად გაიმართა ფესტივალი, რომელიც ნიორსა და მის სამკურნალო თვისებებს მიეძღვნა, მას 30 ათასამდე სტუმარი დაესწრო და, საერთო აღიარებით, დიდი წარმატებით ჩატარდა. ამის შემდეგ ჰილროი „მსოფლიოს ნივრის დედაქალაქად“ აღიარეს. შემდეგ წელიწადს ჰილროის 60 ათასი სტუმარი ეწვია, 1981 წელს კი — 130 ათასი. მას შემდეგ აქ ყოველ წელიწადს ჩამოდიან ნივრის მოყვარულები მთელი შეერთებული შტატებიდან.

მეოცე საუკუნის დასაწყისში შეერთებულ შტატებს ნიორი ევროპიდან შემოჰქონდათ და ეს იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე ჰილროის შემოგარენში ამ პოპულარული სასოფლო-სამეურნეო კულტურის პირველი კვლები დაითესებოდა. ახლა ნიორს 200 კილომეტრი რადიუსის ფართობი უკავია, რომელზეც დაახლოებით 90 ათასი ტონა ნიორი მოჰყვათ. მოსავლის ერთი მესამედი საშინაო და საგარეო ბაზარზე საღდება, დანარჩენს კი ახმობენ და სხვადასხვა სანელებლის დასამზადებლად იყენებენ.

როცა ერთდროულად ამუშავდება ხოლმე პამიდვრის საწებლისა, და ხახვისა და ნივრის გამოსაშრობი დანადგარები, ჰილროის ირგვლივ, თითქმის 15 კილომეტრზე, ჰაერი ისე იჟღინთება მადისაღმძვრელი სურნელებით, რომ თავი იტალიურ სამზარეულოში გეგონებათ. ვიღაც გამოჩენილ ამერიკელს ჰილროის მიდამოებში რომ გაუვლია, უთქვამს: ჰილროი ერთადერთი ქალაქია ამერიკაში, სადაც ხორცს დამარილება და შაშხად დამზადება არ სჭირდება, საკმარისია ხორცის ნაჭერი უბრალოდ სარეცხის თოკზე გადაკიდო და — შეინახებარ.

...ამერიკელების სამზარეულოში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ნიორი. მისი მოხმარება ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ორჯერ გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰილროის მომავალსაც კარგი პირი უჩანს. ნივრის ფესტივალზე (იქ მოსახვედრად მცირე საფასური უნდა გადაიხადონ) იყიდება ნივრის მოტივებზე შექმნილი რაგინდარა: პერანგები და ქუდები, ქამრის ბალთები და სამკაულები, სამკერდე ნიშნები, ნახატები და სხვა.

ამ ფესტივალების ნამდვილი მშვენება გახლავთ „გურმანების ხეივანი“. ღია ცის ქვეშ მოწყობილ ამ გიგანტურ სამზარეულოში ქალაქის მკვიდრნი nაირ-ნაირ კერძებს ამზადებენ და, რასაკვირველია, ნივრის დამბნიდავი სურნელება ტრიალებს. კერძებთან ერთად მსურველებს დამზადების რეცეპტსაც მიართმევენ.

ფესტივალის ბოლოს იმართება ხოლმე კერძების მომზადების კონკურსი. გამარჯვებულებს ჟიური ასახელებს, რომელიც გამოჩენილი სპეციალისტებისაგან და აშშ-ს ყველაზე პოპულარული სასოფლო-სამეურნეო გამოცემების ჟურნალისტებისაგან შედგება.

„ზა რუბეჟომ“, № 36, 1988 წ.

# ჩაისთან მისართმევი ტკბილეული

## ნიგვზიანი ბისკვიტი

კვერცხის გული კარგად ათქვიფეთ შაქრის ფხვნილში, აურიეთ შიგ დანაყილი ნიგოზი, პურის ფქვილი და კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა. ყალიბს წაუსვათ კარაქი, მოაყარეთ დანაყილი ორცხობილა, ჩაასხით მომზადებული ცომი და გამოაცხვეთ. როცა შეგრილდება, ამოიღეთ ყალიბიდან, მოაყარეთ დანაყილი შაქრის ფხვნილი.

მასალა: კვერცხი — 5, შაქარი — 1 ჩაის ჭიქა, დანაყილი ნიგოზი — 1 ჩაის ჭიქა, პურის ფქვილი 3/4 ჩაის ჭიქა, კარაქი — 1 სუფრის კოვზი.

## ნიგვზიანი ბისკვიტი მეორენაირად

მთლიანი კვერცხები ათქვიფეთ 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილში, აურიეთ შიგ დანაყილი ნიგოზი, მაწონი, კარაქი, დანაყილი ლიმონის ქერქი, სოდა და ბოლოს პურის ფქვილი. მოამზადეთ ცომი, მოათავსეთ კარაქწასმულ და ორცხობილამოყრილ ყალიბში, კარაქიანი ხელით შეასწორეთ მისი ზედაპირი, ზედ დააწყვეთ შუაშუა დაჭრილი ნიგოზი, მოაყარეთ 1/4 ჭიქა შაქრის ფხვნილი და შედგით ღუმელში გამოსაცხობად.

მასალა: კვერცხი — 4 ცალი, შაქარი — 2 1/4 ჩაის ჭიქა, მაწონი — 1 ჩაის ჭიქა, კარაქი — 250 გრ, დანაყილი ლიმონის ქერქი 1 ჩაის კოვზი, სოდა — 1 ჩაის კოვზი.

## ბისკვიტი ვაშლით

ათქვიფეთ კვერცხის გული შაქარში, სანამ გათეთრდებოდეს, თანდათანობით ჩაყარეთ პურის ფქვილი და აურიეთ. შემდეგ დაუმატეთ კარგად გათქვეფილი კვერცხის ცილა. ყალიბს წაუსვით კარაქი, მოათავსეთ შიგ გამზადებული ცომი და გამოაცხვეთ ნელ ცეცხლზე. რომ გამოცხვება შეაგრილეთ და მერე გამოიღეთ.

ვაშლი მოამზადეთ შემდეგნაირად: აიღეთ რამდენიმე ცალი ანტონოვკის ჯიშის ვაშლი, გათალეთ, ოთხად გაჭერით და გული გამოაცალეთ. თითოეული ვაშლის მეოთხედი დაჭერით სიგრძეზე ძალიან თხლად და კარაქწასმულ თუნუქის ფურცელზე დააწყვეთ სათითაოდ. შემდეგ დადეთ გაზზე და 10 წუთის შემდეგ გადმოდგით. დანის წვერით სათითაოდ აალაგეთ და გამომცხვარი ბისკვიტის ზედაპირზე გადაიტანეთ.

მასალა: კვერცხი — 5, შაქარი — 1/2 ჩაის ჭიქა, პურის ფქვილი 3/4 ჩაის ჭიქა.

## ფენოვანი ნამცხვარი

მთლიანი კვერცხები, მაწონი, ძმარი და სოდა ერთმანეთში აურიეთ (ათქვიფეთ). მერე ჩაყარეთ იმდენი პურის ფქვილი, რომ გამოვიდეს საშუალო სისქის ცომი. მიღებული ცომი გაყავით 4-ად, თითოეულზე წაუსვით კარაქი, დაკეცეთ 4-ჯერ და 5 წუთით გრილ ადგილას დადეთ. შემდეგ თითოეული ცომი გააბრტყელეთ, მიეცით სათანადო ფორმა და გამოაცხვეთ. პატარ-პატარა ჩამონაჭრები გააცივეთ და მერე დაფშვენით. გამომცხვარ ფენებს შუა წაუსვით კრემი, ზემოდანაც მორთეთ კრემით და მოაყარეთ დაფშვენილი ბისკვიტი.

მასალა: კვერცხი — 2, მაწონი 1 ჩაის ჭიქა, ძმარი — 1 სუფრის კოვზი, სოდა — 1/2 ჩაის კოვზი, კარაქი — 200 კგ, პურის ფქვილი — რამდენიც დასჭირდება.

თამარ ნინიძე

# მოუმზადეთ პატარებს

ბლინების რეცეპტს თუმცა პატარებისათვის გთავაზობთ, მაგრამ მოზრდილებიც და ხანდაზმულებიც სიამოვნებით მიირთმევენ. რაც მთავარია, იგი გაცივებისას არ ცომდება, ინარჩუნებს სიფაფუკეს და თბილიც და ცივიც გემრიელია.

მასალა: 250 გრამი არაჟანი, 250 გრამი მაწონი, 6 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 4 ცალი კვერცხი, მცირეოდენი მარილი (დანის პირით), ვანილი, ორი თხელი ჩაის ჩიქა (თავმოდგმული) უმაღლესი ხარისხის ფქვილი.

მოამზადეთ გოგლიმოგლი. არაჟნის და მაწვნის ნარევს შეურიეთ სოდა, მარილი და ვანილი, დაასხით გოგლიმოგლს, კარგად ათქვიფეთ და თანდათანობით შეაზილეთ ფქვილი. უნდა მიიღოთ ისეთი ცომი, რომ ამოღების დროს სუფრის კოვზიდან არ გადმოიღვაროს (თუ საჭირო იქნება მიუმატეთ მცირეოდენი ფქვილი). ცხიმმოსმულ ტაფაზე მოათავსეთ იმდენი სუფრის კოვზი მომზადებული ცომი (ცალ-ცალკე), რამდენიც დაეტევა, დაახურეთ ტაფას თავსახური 1—2 წუთით და მიაქციეთ ყურადღება. ბლინი რომ არ დაგეწვათ, დროულად გადააბრუნეთ (გადაბრუნებულს თავზე დახურვა აღარ უნდა).

ტაფაზე ცხიმის მოსასმელად გამოიყენეთ გათლილი და შუაზე გაჭრილი კარტოფილი.

მზა ბლინები შეგიძლიათ მიირთვათ არაჟნით, თაფლით, ნებისმიერი მურაბით ან ჯემით.

ლილი მერაბოვა

დიასახლისი.

### მეთერთმეტე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. გეოლოგია. 8. ვარიაცია. 9. კარდიოგრაფია, 11. კილო. 12. „ნონა". 13. ატელიე. 16. ბილიარდი. 17. რაფსოდია. 18. აგრეგატი. 20. ნიველირი. 22. ბილინგვა. 24. ბარი. 25. იხვი. 26. ამპელოგრაფია. 29. ანდამატი. 30. სინდრომი.

შვეულად: 1. ვერდიქტი. 2. დოხა. 3. მინდია. 4. კალაძე. 5. კილი. 6. ცილინდრი. 9. კონსისტენცია. 10. ანთროპოლოგია. 14. ტრიპტიქი. 15. იორდანია. 19. გალავანი. 21. რეკვიემი. 22. ბრეხტი. 23. ოვაცია. 27. „მუმუ". 28. იოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „საქართველოს ქალის" 1988 წლის ნომრების შინაარსი:


№ 1

პროზა, პოეზია:

ნ. აფხაზავა — სამკუთხედი. — მოთხრობა.
მ. ბარათაშვილი, მ. ფოცხიშვილი, — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ნ. კილასონია — მისი მუსიკა.
ლ. შენგელია — ოქროსფერი რთველი.
ლ. კაკაბაძე — შენ ქართველი ხარ, პლასტუნკელო!
ე. ჯაფარიძე — გულისტკივილი მომხმარებლიდან იწყება.
დ. დვალი — „ჩვენ თბილისში ვცხოვრობთ".
ლ. ბარნოვსკი — რძის ფხვნილისაგან მაწვნის და ხაჭოს მომზადება.

№ 2

პროზა, პოეზია:

ნ. მგალობლიშვილი — შეხვედრა. — მოთხრობა.
მ. ბარათაშვილი, ს. პენჩევა, მ. პაშაკიძე, თ. აგულაძე — ლექსები

ნარკვევები, წერილები:

ნ. პედია — მეცნიერთა დახმარებით.
ლ. ამისულაშვილი — სადარდებელი ხუთი წლის წინ დაიწყო.
ი. კუკავა — კეთილი სახლი.
ა. პაპაიანი — მოწყალების და.
ლ. პანკოტაძე — სოფელმა სანთლად დაინთო.
ნ. კიკნაძე — მხატვარიც, მკვლევარიც.
ნ. გუკია — სიცოცხლის ელექსირი.
გ. გიორგანაშვილი — ლენა ექიმი.
რ. ირემაძე — ოჯახური ურთიერთობის ნიუანსები.
მ. ნიჟარაძე-მაჭავარიანი — მეგობრობამ არ იცის მანძილი.
ნ. ქიმერიძე — გაჭირვების ტალკვესი.
ნ. უმიკაშვილი — პროფილაქტიკური აცრები.
ი. მიქაძე — სახელოვანი სპორტსმენი.
ზ. მესენგისერი — გაყიდული პატიოსნება.
ლ. გოგოლაძე — იქნებ თქვენც გამოგადგეთ.

№ 3

პროზა, პოეზია:

თ. კრავჩელი — ბზარი, მოთხრობა.
ლ. სვანიძე ვ. ცინცაძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

გ. ბაგნიძე — აღიარება.
ნ. კუპრეიშვილი — ამ ლამაზ შენობაში.
ხ. გერულავა — წმიდათაწმიდა საქმე.
ე. ლებანიძე — იულია [თავაძე.
ქ. კაპანაძე — დამსახურებული სიყვარული.
ე. საყვარელიძე — სოფიო გამრეკელი.
გ. ბასიტაშვილი — ინდოეთის დიდი შვილი.
გ. ფოთოლაშვილი — მადლობა სიკეთისათვის.
ქ. პილაშვილი — ვარდისფურცლის ოქრომკედი.
გ. გამრეკელი — ქალები თუ ვაჟები? მაინც ქალები!
ო. მაცაბერიძე — ახალგაზრდა მსახიობი.
გ. სტურუა — სწორად მოვიქეცი თუ არა?
ლ. სოსელია — სკოლა და ოჯახი.
ი. ბიბუჟი — წერილი კომენტარით.
გ. ნაროზაული — კედელზე დარჩენილი სევდა.
ლ. კაკაბაძე — აღარ დაგვიწერს ნარკვევებს...

№ 4

პროზა, პოეზია:

თ. გოგოლაძე — წუთისოფელი ასეა, — მოთხრობა.
ი. კეკელიძე — პატეფონი, — ნამდვილი ამბავი.
ნ. ჯალაღონია — ლექსები

ნარკვევები, წერილები:

ე. ჯაფარიძე — მოდურიც, ლამაზიც!
ლ. კაკაბაძე — რატომ არ მიუხარია ბავშვს სკოლაში?
მ. ზარიძე — საზღვართან ახლოს.
რ. გაინდურაშვილი — ბედნიერი პროფესია.
დ. დონაძე — მისი საზრუნავი
ლ. ნინიძე — გასეირნება არბატზე.
გ. ბასიტაშვილი — გეოლოგი.
თ. მარუაშვილი — ლევ ტოლსტოის შთამომავალი — ლუიჯი ალბერტინი.
ვ. გიუნაშვილი — ლარისა შეპიტკო
დ. კალანდია — ხსოვნის კრიალოსანი
მ. მესტიაშვილი — ნევროზის გამომწვევი მიზეზები ბავშვებსა და მოზარდებში
ლ. ბარნოვსკი — კვება და ჯანმრთელობა.

№ 5

პროზა, პოეზია:

ო. გონჩარი — უსმანი და მარტა — მოთხრობა. — უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა აათიანმა
ლ. დანელია, ც. ჯანდიერი, გ. ბერიაშვილი — ლექსები

ნარკვევები, წერილები:

ნ. თარგამაძე — ბავშვის ფიზიკური, სულიერი და სოციალური სრულყოფისათვის.
მ. ცოტაძე — შრომით მოპოვებული აღიარება.
რ. ნიკურაძე — სად არის წარმატების სათავე.
ი. ძუცოვა — არჩევანი მხატვრობას ერგო.
შ. ზაქარიაძე — დაე, გვფარავდეს ულრუბლო ცა!
რ. გრიგოლია — შინ მუშაობის სიკეთე.
მ. ბარათაშვილი — მძიმე ჯვარი.
დ. მდივნიშვილი — მიიღებ ნერგს — შენგან დარგულს.
ელენე ჩოფიკაშვილი — სარედაქციო წერილი (გამოსათხოვარი).
ე. მაჭავარიანი — გამოფენამ იმედით აგვავსო.

№ 6

პროზა, პოეზია:

ე. ზარიძე — საშაკრე, — მოთხრობა.
ლ. დადიანი-გურიელი — მინიატურები.
ნ. ძამუკაშვილი, ა. ხუციშვილი — რ. მკერვალიშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:

ე. გაშალეიშვილი — სამიდან — ექვსამდე.
მ. ზარიძე — მეხუთის ცის ქვეშ.
ლ. ესართია — შემოქმედებითი და საინტერესო.
ნ. არჩვაძე — თუ ბავშვს სმენა აკლია...
ვ. გრებაძე — ნინო შვანგირაძე.
ლ. კაკაბაძე — მისი შუადღე.
დ. ვადაჭკორია — სადა ხართ, „ქვეყნის მამიდებო!".
გ. ხვედელიძე — საწინდარი ჩვენი უკვდავებისა.
ე. გოცვაძე — კაცობრიობის უმძიმესი განსაცდელი.
ნ. გუკია — „მუხრანის ველი" თბილისში.
ი. ჩოფიკაშვილი — ჩვენკენ გამოწვდილი ხელები.
ო. რევია — საერთო სატკივარი.
ი. მიქაძე — „ირიდა".

№ 7

პროზა, პოეზია:

ი. რურუა — „ცის ალქაჯი" ყიგულკა, — მოთხრობა.
ნ. კილასონია, ნ. ლეშკაშელი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:
ჯ. შონია — სოფლის რჩეული.
ნ. კუპრეიშვილი — ბამბეული თავს იწონებს.
ნ. ქიმერიძე — თუ საკუთარ თავს აღმოაჩენთ...
მ. ზარიძე — „რადონმა" სახელი გაითქვა.
ი. ჩოფიკაშვილი — ჯანმრთელობის კერები.
გ. ბოჩიტაშვილი — უწამლოდაც მოგვარჩენს.
თ. გომართელი — მომღერლის პოპულარობა.
მ. ჩხეტიანი — მამის ავტორიტეტი.
ა. კვეიძე — გვმასპინძლობს სიცილის საღამოზე.
ნ. ჩიხლაძე — გაიხმიანეს ლექსებმა.
ც. ხეთერელი — „ეროვნული საკრებულოს საამაყო დედა".
ნ. ბეზარაშვილი — სოფელ გურჯაანის ხევისუბნის „მთავარანგელოზი".
ს. შაიშმელაშვილი — დედის ძუძუ და ბავშვი.
პ. ივანოვი — რძით მკურნალობა.
ი. ხმალაძე — სენპოლია.
მ. ჟანტურია — პატივი მიაგეს.

№ 8

პროზა, პოეზია:
ა. დევდარიანი — წერილი მეგობარს, — მოთხრობა.
მ. გენებაშვილი — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:
ი. კუკავა — „აქტრისა მარგარიტა"
მ. ზარიძე — პანსიონატი „პლატო".
ო. ფირცხალავა — პიანისტიც, კომპოზიტორიც.
რ. დავითური — ჩაი და პრობლემები.
ნ. არჩვაძე — „ფრესკა"
ქ. გოგიჩაიშვილი — ფერმა არენდით.
ვ. კრუჟკოვსკი — ქალი, სპორტი, პრობლემები.
ს. ხეთაგური — მისი სიმდიდრე.
ზ. კალანდაძე — სარკმლის მიღმა.
ლ. კაკაბაძე — მიქრის მატარებელი, ანუ მგზავრობა ვაი-ვაგლახით.
ნ. ლურსმანაშვილი — ჯანმრთელობის სამსახურში.
ი. ჩოფიკაშვილი — ო. რევია — გავუფრთხილდეთ დედაქალაქის ავტორიტეტს.
რ. ივანოვი — ფიქრები პლანეტის მომავალზე.
გ. ზაუტაშვილი — სად მოსწიოს სიგარეტი მარგომ?

№ 9

პროზა, პოეზია:
ა. ვერტინსკი — სარასატეს კონცერტი, — მოთხრობა — თარგმნა დიმიტრი გულისაშვილმა.
ცუდი დღეები—იუმორი, პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ.

ნარკვევები, წერილები:
მ. ზარიძე — სულ სიკეთით გევლოთ!
ა. კობერიძე — ძველი ფუძე.
დ. ხატიაშვილი — ფერიცვალების ჟამი დადგა.
დ. დვალი — კონტრაცეპცია სამსახურს გთავაზობთ.
ე. ბილანიშვილი — სიახლე სამშობიარო სახლში.
ო. ბრეგვაძე — მისი სავალი გზა.
ც. ცერცვაძე — ადამიანი მარტო როდია...
გ. მებრელიძე — ბელა მირიანაშვილი.
ნ. ფაილოძე — ბარათები სიკეთეს იხსენებენ.
ალ. კოკაია — ქალთა სკოლა წალენჯიხაში.
ნ. ბარდაველიძე — ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა.
მ. კოვალიოვი — კულინარული საუბრები.

№ 10

პროზა, პოეზია:
ზ. ლომიძე — დედა. — მოთხრობა.
ა. ჟივულსკა — როგორ ვიმშობიარე, — პოლონურიდან თარგმნა ინგა კაკაბაძემ (იუმორი)
ნ. ჟღენტი, მ. მაღრაძე, ი. უშვერიძე — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:
ვ. თევდორაძე — რწმენა.
გ. ქოქიაშვილი — ლილეო იმედისა.
რ. ბაინდურაშვილი — საკუთარი ჭერი.
მ. ლებანიძე — „კერიის" მიზიდულობის ძალა.
გ. ბამრეკელი — ორი დიდი იმედი.
ლ. კაკაბაძე — დავით იაკობაშვილი.
მ. ზარიძე — მეტი ყურადღება!
ვ. მოდებაძე — ხალხური ტრადიციების ქომაგი.
ნ. ლურსმანაშვილი — სიბერე ყველას გვეწვევა.
ნ. ხომერიკი — ზინა ჩხეტიანი.
ნ. ოქროპირიძე — ბავშვის სულის სილამაზისათვის.
ლ. შეწირული — ზოგიერთი რამ კანის ქავილის შესახებ.
რ. ქუმსიაშვილი — ერთგულად ემსახურა სამშობლოს.
ა. უმინსკაია — გრიპის წინააღმდეგ უწამლოდ.
ქ. ნიჟარაძე-მაჭავარიანი — დრაკონის წელიწადი.

№ 11

პროზა, პოეზია:
ლ. მარტაშვილი — ხე ნაყოფით იცნობა, — მოთხრობა.
ლ. სტვილია — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:
დ. ბიწაძე — სვანების ახალი ცხოვრება.
ე. ჯაფარიძე, ქ. გოგიჩაშვილი — დედაბოძი ერისა.
გ. მელუა — მეტრომშენებელი.
მ. ბარათაშვილი — ვულოცავთ!
ჯ. მუჯირი გარდასვლა.
ი. ელიაშვილი — იწყება მეორე საუკუნე.
ს. ხუნდაძე — ცხოვრების დიდ გზაზე.
ლ. ლომჯარია — მოზარდთა კონფლიქტების ზოგიერთი მიზეზი.
თამარ ციციშვილი (ნეკროლოგი).
თ. გომართელი — პირველი ქართველი ქიმიკოსი.
მ. მჭედლიშვილი — ჩვილი ბავშვი — თამბაქოს მწეველი?!
ა. პაპაშვილი — დედის დღიური.

№ 12

პროზა, პოეზია:
ქ. ელისაბედაშვილი-მხეიძე — თვალი დაგიდგეს, — მოთხრობა.
ლ. ხუციშვილი, ზ. სოლომნიშვილი ე. ქელეხსაშვილი, — ლექსები.

ნარკვევები, წერილები:
გ. ბამრეკელი — ხუთი აღმავალი საფეხური.
ქალთა დიდი ფორუმი
ლ. ქინქლაძე — სიმართლე სინათლეა.
ნ. კუპრეიშვილი — გვარამიების ოჯახური იჯარა.
ზ. წილოსანი — ამაგდარი.
მ. ლორთქიფანიძე — თამარ მეფე.
ნ. გურგენიძე — განათლების გარდაქმნას ალტერნატივა არა აქვს.
გ. ზაუტაშვილი — მინი მუზეუმი.
ლ. კაკაბაძე — რიგში ვდგევარ ცეცხლი მიკიდია!
ს. გელაშვილი — სტატისტიკა ქართველ მეცნიერ ქალთა შესახებ.
ლ. ხვედელიძე — მოდების სპეციალისტთა თავყრილობა.

ნომრებში: კულინარული რეცეპტები, ფერად-ფერადი, მოდა, რჩევები, ჩვენ გვწერენ.

---

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5.11.88 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.12.88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 170.000. შეკვ. 2804. უე 04811. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკ ჟანიაშვილის ფოტოები

7 დეკემბერს წყნარი, მზიანი დილა გათენდა. თბილოდა. ადამიანებმა იფიქრეს, ზამთარმა გაზაფხულისკენ ხომ არ პქნა პირიო. სიცოცხლე ხარობდა მოძმე სასომხეთში და უცებ.,. მოისრა ლენინაკანი, კიროვოკანი, სტეფანავანი. ალიგავა პირისაგან მიწისა სპიტაკი. დაიქცა 28 სოფელი. შთაინთქა ადამიანების სიცოცხლე. თითქოს მზესაც შერცხვა ბუნების დაუნდობლობის გამო — ცა ჩამობნელდა მიწისა და ქვა ღორღის მტვერისაგან.

სასომხეთში დატრიალებული ტრაგედია ყველა რესპუბლიკამ გაიზიარა. გლოვის ზარი დადგა მთელს საბჭოეთში. გვტკივა ძმების ტკივილი, გვტკივა სომეხი დების გასაჭირი. გლოვობენ საქართველოს მცხოვრებლები, ქართველი დედები. ჟურნალის მრავალათასიან მკითხველთა თხოვნით დიდ სამძიმარს ვუცხადებთ სასომხეთის ქალებს. რედაქციის კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია იზიარებენ მათ ენითაუწერელ გასაჭირს, თუმცა სანუგეშოს ბევრს ვერაფერს ამბობენ, მაგრამ თხოვენ გამოიჩინონ სიბრძნე და ამტანობა.

საქმე გაძლებაზეა. ღმერთმა გაგაძლებინოთ, დებო!







ფასი 30 კაპ.

6182/7







1988 წელს მოსკოვში მოეწყო სსრ კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების მოდების დემონსტრირება